ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 6 დეკემბერი, 2017 №289 (7524) ფასი: 50 თეთრი

## ჩაუშლის თუ არა ქართული მარში ნაციონალებს აქციას




გვ.3

30 ნოემბრიდან




ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# სპეცრაზმმა სააკაშვილი სახურავზე დააკავა, მაგრამ მისმა მომხრეებმა სპეცრაზმის მანქანიდან გაათავისუფლეს



გვ.2

„ვერანაირი სექსი ვერ შეედრება რევოლუციურ წარმატებას“



„ეს ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე“



უკრაინის პროკურატურა სააკაშვილს იანუკოვიჩის ოლიგარქთან კავშირს აბრალებს

## ლია მუხაშავრია: „სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი გადაიწევს“

გვ.4



## ვახტანგ გომელაური: „ქვეყანამ საფრთხე აიცილა“

გვ.3



## მამუკა გამყრელიძე: „კრიმინალური მენტალიტეტი ისევ ჭაობში გვითრევს“

გვ.5



### სამართალი

გვ.7

დედის ცემისთვის ოზურგეთში მ.ა. დააკავეს



ერთი კვირის განმავლობაში საგზაოსახადო სამართალდარღვევის 913 ფაქტი გამოვლინდა



წყალტუბოში სასაფლაოზე თანაკლასელის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



### ეკონომიკა

გვ.6




9.204 მილიარდი ლარი 14 სამინისტროსთვის



მატლიანი შოკოლადი და ნამცხვრები, რომელსაც ნავთის სუნი ასდის — რა დარღვევები აღმოჩნდა სავაჭრო ობიექტებში



გიგლა თამაზაშვილი „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ახალ მმართველად დაინიშნა

ISSN 1987-9385

5 დავით საგანელიძეს „ნიბა ინვესტთან“ გარკვეული მოთხოვნები აქვს

4 დავით წიქარიძე: „უცხოეთში არცერთი ქვეყნის ეროვნული ბანკი მევახშის დონეზე არ ჩამოდის“

6 2018 წელს გზების მშენებლობაზე 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება

4 მამუკა გვაძაბია: „ოლიგარქიული რეჟიმი უკრაინაშიც და საქართველოშიც უნდა დამარცხდეს!“

# სპეცრაზმმა სააკაშვილი სახურავზე დააკავა, მაგრამ მისმა მომხრეებმა სპეცრაზმის მანქანიდან გაათავისუფლეს

## უკრაინის პროკურატურა სააკაშვილს იანუკოვიჩის ოლიგარქთან კავშირს აბრალებს

შორენა მარსაგიშვილი

**ნოემბრის ბოლოს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის ხელისუფლება მის დაპატიმრებას აპირებდა. ჩვენებურის თქმით, დაკავება 10 დეკემბრამდე მოხდებოდა. მან მომხრეებს პოლიტანდერძიც დაუტოვა, დაიბარა, თუ დამაკავებენ, სამთავრობო შენობების ბლოკირება მოახდინეთო.**





## „ეს ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ვარაუდი გუშინ, 5 დეკემბერს, გამართლდა. მიხეილ წინასწარმეტყველს უკრაინელმა სამართალდამცავებმა დილით სახლში ჩხრეკის ჩასატარებლად მიაკითხეს. ნაპრეზიდენტალმა მათ კარი გაუღო და იქიდან დაიწყო დიდი და საინტერესო სანახაობა, რომელსაც უკრაინელები და ქართველები პირდაპირ ეთერში ადევნებდნენ თვალს.

სააკაშვილის გარშემო განვითარებულ მოვლენებს კრემლის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. არადა, ბოლო პერიოდი მოსკოვი საქართველოს აღარ იმჩნევდა. მათ საქართველოში მსოფლიო დონის ტერორისტ ახმედ ჩატაევის ფაქტიც კი გაატარეს.

### დაჭერობანა უკრაინულად

მიხეილ სააკაშვილს ბინა კიევში, მაიდნის მახლობლად აქვს. დროგამოშვებით რადას წინ გაშლილ კარვებშიც ათევდა ღამეს. სპეცრაზმელებსა და პროკურატურის თანამშრომლებს ის სახლში დაუხვდა.

როგორც კი ჩვენებურს ჩხრეკის ორდერი წარუდგინეს, ის გაიქცა და სახურავზე ავიდა, საიდანაც პერიოდულად გადმოხტომით იმუქრებოდა.

სამართალდამცავებმა მაშველები გამოიძახეს. ისინი შენობის სახურავზე სახანძრო კიბით ავიდნენ.

სახურავზე მყოფმა სააკაშვილმა თავის მომხრეებსაც მიმართა. მომხრეებმა მალე მიირბინეს ჩვენებურის სახლთან. ისინი შენობასთან მობილიზებულ უშიშროების სპეცრაზმთან ერთად ადევნებდნენ თვალს სახურავზე მიმდინარე მოვლენებს.

მაშველების გარდა, სახურავზე სპეცრაზმელებიც ავიდნენ. კარგა ხნის სირბილის შემდეგ უკრაინელმა სამართალდამცავებმა საქართველოს მესამე პრეზიდენტი დააპატიმრეს.

დაკავებული სააკაშვილი ხელზე ბორკილდადებული გამოიყვანეს საცხოვრებელი სახლიდან. დაკავებული მანქანაშიც ჩასვეს, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი გააკეთეს. ნაპრეზიდენტალის მომხრეებმა მანქანა, რომელშიც ის იჯდა, ალყაში მოაქციეს. სამართალდამცავებმა ოდესის ყოფილი გუბერნატორის გაყვანა ვერ მოახერხეს.

მაიდნის სიახლოვეს მდებარე სახლთან სააკაშვილის მომხრეების რაოდენობა გაიზარდა. მათ იქაურობა მანქანებითაც ჩახერგეს. რამდენიმე აქტივისტმა კი მანქანას, რომელშიც სააკაშვილი იყო გამომწყვდეული, საბურავები ჩაუფუშა.

ზოგიერთი მანქანის გადაბრუნებასაც ცდილობდა, თუმცა კოსტელნის ქუჩაზე მყოფმა სამართალდამცავებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.

სპეცრაზმელებს ხელს განსაკუთრებით ქალები უშლიდნენ. ერთ-ერთმა ქალმა იმ მანქანის მინა ჩაამსხვრია, სადაც ჩვენებური იჯდა. სპეცრაზმელებმა მინისმმსხვრეველი დააკავეს. ქალის დაკავებას ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომლის დროსაც სააკაშვილის რამდენიმე მომხრე დაშავდა.

მისმა ერთ-ერთმა ფანმა თავის დაწვაც კი ცადა. ინციდენტი სააკაშვილის დაკავების დროს მოხდა. განრისხებული და სასოწარკვეთილი მამაკაცი გაზსადენის მილზე ავიდა და თავის დაწვით იმუქრებოდა. იქ შეკრებილმა აქტივისტებმა და სპეცრაზმელებმა მას ამის საშუალება არ მისცეს.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მხარდასაჭერად პოლიტიკოსებიც მივიდნენ. მათ შორის იყო უკრაინის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო. მან სააკაშვილს უკრაინის პრეზიდენტი უწოდა.

სპეცრაზმელებს ცრემლსადენი გაზის გამოყენებაც კი დასჭირდათ. სააკაშვილის მომხრეები ამან ვერ შეაჩერა და მათ თავიანთი ლიდერის გათავისუფლება შეძლეს. რამდენიმესაათიანი წივილ-კივილის შემდეგ სააკაშვილი მანქანიდან გადმოიყვანეს.

სპეცრაზმელებისგან გათავისუფლებულ ჩვენებურს ერთ ხელზე ეკეთა ხელბორკილი. ის მომხრეებთან ერთად ბორკილდადებული გაემართა უკრაინის რადასკენ, სადაც მას მომხრეები და ასეულობით სპეცრაზმელი ელოდნენ.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი ჯერ ისევ სპეცრაზმელების ხელში იყო, როცა თბილისსა და კიევში საქართველოში მის შესაძლო ექსტრადირებაზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ.

ჩვენს ჩინოსნებს სახეზე ეტყობოდათ, რომ დიდად არ სურდათ სააკაშვილის საქართველოში ხილვა. მათთვის შვებისმომგვრელი აღმოჩნდა ოფიციალური კიევის განცხადება. უკრაინელი ძალოვნების განმარტებით, ის მუხლი, რომელიც სააკაშვილს აქვს წაყენებული, მის სხვა ქვეყანაში ექსტრადირებას არ ითვალისწინებს.

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ გვამცნო, რომ სააკაშვილს სამშობლოს ღალატი ედებოდა ბრალად. ამ შემთხვევაში მის სამშობლოდ უკრაინა ითვლება.

– არ არის საუბარი დეპორტაციაზე, ახლა არ არის საუბარი ექსტრადიციაზე. ახლა საუბარია დაკითხვაზე, ეჭვზე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო. პასუხისმგებლობაც შესაბამისი იქნება, – განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურორმა.

მან ჩვენებურისთვის შინაპატიმრობის შეფარდება მოითხოვა. ეს მაშინ მოხდა, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ სპეცრაზმის მანქანაში იჯდა.

უკრაინის გენერალური პროკურატურა და უსაფრთხოების სამსახური მას დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებთან თანამშრომლობასა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვაში ადანაშაულებენ.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, სააკაშვილს 3-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ფარული ჩანაწერებიც გამოაქვეყნა. როგორც იური ლუცენკო ამბობს, სააკაშვილი უკრაინაში ხელისუფლების დამხობას გეგმავდა.

მისი თქმით, სააკაშვილმა ამისთვის ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობის ოლიგარქ სერგეი კრუჩენკოსგან ნახევარი მილიონი დოლარი აიღო.

### „დაბადებული ვარ გამარჯვებისთვის“

სააკაშვილი მხარდამჭერებთან ერთად უკრაინის რადასკენ გაემართა, სადაც უკვე მობილიზებული იყო რამდენიმე ასეული სპეცრაზმელი.

უკრაინის ნაციონალურმა გვარდიამ უარი თქვა შს მინისტრ არსენ ავაკოვის ბრძანების შესრულებაზე. გვარდიამ საბრძოლო მასალა ჩააბარა. ამის პარალელურად, სააკაშვილის მომხრეებმა კიევის ცენტრში ბარიკადების აშენება დაიწყეს.

არსენი ავაკოვი მიხეილ სააკაშვილის დაშოშმინებას სოციალური ქსელის მეშვეობით ცდილობდა – ნებისმიერი კონფლიქტი მხოლოდ კანონიერი გზით უნდა გადაიჭრასო. მან სააკაშვილს ურჩია, დამორჩილებოდა მთავრობას.

ავაკოვი მიიჩნევს, რომ ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი ვალდებულია, უპასუხოს წარდგენილ ბრალდებას და თავი შეიკავოს სისხლისღვრის პროვოცირებისგან.

სანამ არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება, მანამდე გამოსავალიც არ იქნება. სააკაშვილის ვალდებულია, დაემორჩილოს კანონის მოთხოვნას და უპასუხოს წარდგენილ ბრლადებას, – დაწერა ავაკოვმა „ტვიტერის“ გვერდზე.

სანამ რადასთან ბარიკადები ეწყობოდა, სპეცრაზმელებისგან გათავისუფლებულმა სააკაშვილმა მედიისთვისაც გააკეთა კომენტარი. ის მხარდამჭერების ქმედებებით აღფრთოვანებული იყო.

– ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. მე ვარ გამარჯვებისთვის დაბადებული, ქართველ და უკრაინელ ხალხთან ერთად. ნახეთ, უკრაინელებმა რა გმირობა ჩაიდინეს, – განაცხადა ნაპრეზიდენტალმა „კურიერთან“ სატელეფონო ინტერვიუს დროს.

მან მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა, ხოლო ოლიგარქებს ყოფის ტირებით დაემუქრა.

– მინდა მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისთვის დედაჩემს, სანდრას, ნიკუშას. ვუტირებთ ყოფას ყველა ოლიგარქს, ხალხის მძარცველსა და დამამცირებელს უკრაინასა და საქართველოში, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ხმაურიანი განცხადებები მან რადასთანაც გააკეთა. ბარიკადებზე მდგარმა სააკაშვილმა ბრალდებებზეც ისაუბრა.

– პოსტსაბჭოთა სივრცეში პუტინს ჩემზე დიდი მტერი არ ჰყავს. როგორ შეეძლოთ ამ გათახსირებულებს, დაედანაშაულებინე რუსეთთან კავშირებში, ამიტომაც ჩვენი მოთმინება დასრულდა, – მიმართა მან მომხრეებს.

ის იური ლუცენკოს მტკიცებულებების ფაბრიკაციაში ადანაშაულებს და პირობას დებს, რომ უკრაინელ ხალხს გაათავისუფლებს.

– მინდა გითხრათ, რომ მათ განახორციელეს უბინძურესი პროვოკაცია. პოროშენკო არასდროს გახდება პუტინი იმიტომ, რომ უკრაინელი ხალხი თავისუფლების მოყვარული ხალხია. დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ უკრაინის ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, რომელიც ხალხს აშანტაჟებს, იტაცებს ბიზნესებს, გარიგებაში შედის პუტინთან და სურს, უკრაინელი ხალხი სიღარიბეში ჰყავდეთ.

დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ საყვარელ უკრაინაში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. ისინი გვადანაშაულებენ დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნაში, თუმცა დანაშაულებრივი არაფერი ჩაგვიდენია.

თვეების განმავლობაში მშვიდობიანად ვატარებდით აქციებს და გასულ კვირას ყველაზე დიდი მარში ჩავატარეთ. ამ მარშმა მათ დაანახა, რომ უკრაინელი ხალხი არსად გამქრალა და ისინი ბოლომდე იბრძოლებენ. ამიტომაც მათ დააჩქარეს ეს პროცესები, გუშინ კიდევ რამდენიმე აქტივისტი დააკავეს, სისხლის სამართლის საქმეები გახსნეს და ლუცენკომ ჩემზე კომპრომატების შეგროვების ბრძანება გასცა. ვინაიდან თქვენ დღეს მე გადამარჩინეთ, ჩემი სიცოცხლე ამიერიდან თქვენ და უკრაინას გეკუთვნით, – მიმართა სააკაშვილმა მხარდამჭერებს.

უკრაინის გენერალური პროკურორი კი იმედოვნებს, რომ ოდესის ყოფილი გუბერნატორი სასამართლოს წინაშე წარდგება.

სააკაშვილთან დაკავშირებით ლუცენკომ რადაში საგანგებო განცხადება გააკეთა. დეპუტატებს აინტერესებდათ, რამდენად კანონიერად ხდებოდა მოსმენები. გენერალური პროკურორი ამბობს, რომ ოდესის ყოფილ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ჭირაქაძე: „სასამართლოს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა წინ წავიდეს“

— სასამართლოს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა წინ წავიდეს, რადგან ინვესტორები სერიოზულად უყურებენ, თუ როგორ წყდება დავები ქვეყანაში.

ამის შესახებ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში განაცხადა, სადაც საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და წევრებს ხვდებიან.



— ჩვენ მოხარულები ვართ დღეს რომ ვხვდებით იუსტიციის საბჭოს მდივანს. ჩვენ მრავალჯერ დაგვიფიქსირებია ბიზნესის უკმაყოფილება ბევრ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება. დღეს ჩვენ იმედი გაგვიჩნდა, რომ შესაძლებელია ის პრობლემები, რაც მრავალი წლის განმავლობაში არსებობს, გავუზიაროთ საბჭოს მდივანს. ავუხსნათ როგორ ვხედავთ ამ პრობლემებს, რატომ ვხედავთ ამ პრობლემებს და შევძლოთ სწორი მექანიზმი ვიპოვოთ, რომ ეს კომუნიკაცია არსებობდეს. როგორც კი რეალური და სისტემური პრობლემები დგება, ჩვენ ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ.

მოხარული ვართ, რომ ჩვენ ვხედავთ წინგადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც სისტემაში არის რეფორმებთან დაკავშირებით. ასეთი სახის კომუნიკაცია და თანამშრომლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ბიზნესში მრავალი პრობლემაა დაგროვილი, რომელიც ეხება კომერციულ დავებს, ეხება ისეთ დავებს, რომლებიც წლების განმავლობაში არის გაჭიანურებული, — განაცხადა ჭირაქაძემ.

მისივე თქმით, გაჭიანურება ძალიან დიდი პრობლემაა ბიზნესისთვის.

—ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის, რომ მოსამართლეებს ძალიან ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ ეს პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე. ჩვენ რომ ლარის კურსზე ვსაუბრობთ, ლარის კურსიც მნიშვნელოვნად არის გადაჯაჭვული სასამართლოს სწორ გადაწყვეტილებებზე, სისწრაფეზე. ბევრი იკითხავს თუ რატომ? იმიტომ, რომ საერთაშორისო ინვესტორი თუ არ არის დარწმუნებული, რომ საქართველოში სამართალს იპოვის, ის გააჭიანურებს ან დაფიქრდება ინვესტიციების ჩადებაზე ქვეყანაში. ჩვენ თუ გვინდა, რომ ლარი მყარი იყოს, მნიშვნელოვანია რომ სასამართლო სისტემა იყოს რეფორმირებული.

ჩვენ ბიზნესასოციაციამ მაქსიმალურად გვინდა ვითანამშრომლოთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, ავუხსნათ ის პრობლემები, რაც ჩვენ გვაქვს. ჩვენ ვხედავთ უკვე, რომ საბჭოს სურვილი აქვს, რომ ეს რეფორმები გატარდეს, — განაცხადა ჭირაქაძემ.

მისივე თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის საბჭოს შექმნა, ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული დავების გამარტივებას, მისასალმებელია.

— დღეს ჩვენ ვერ შევაფასებთ მის საქმიანობას, რადგან ახალი შექმნილია. ჩვენს ზოგიერთ წევრს აქვს კონკრეტული მოსაზრებები, ზოგიერთს — კრიტიკული მოსაზრებებიც. ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი, რომელიც გაამარტივებს, სწრაფად გადაწყვეტს დავას ან უზრუნველყოფს იმას, რომ კომპეტენტურად გადაწყდეს საქმეები, არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს. ჩვენ რომ ვსაუბრობთ ეკონომიკის ზრდაზე, ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლოს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, რათა ქვეყნის ეკონომიკა წინ წავიდეს იმიტომ, რომ ინვესტორები ძალიან სერიოზულად უყურებენ, თუ როგორ წყდება დავები ქვეყანაში, — განაცხადა ჭირაქაძემ.

# ჩაუშლის თუ არა ქართული მარში ნაციონალებს აქციას

შორენა მარსაგიშვილი

**დღეს, 6 დეკემბერს, თბილისში შესაძლოა დიდ ცემა-ტყეპას ჰქონდეს ადგილი. გარკვეული ძალები ნაციონალური მოძრაობის დაანონსებული აქციის ჩაშლას აპირებენ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქცია მას შემდეგ დააანონსეს, რაც მათი ლიდერი უკრაინაში დააკავეს.**

მართალია, მომხრეებმა ნაპრეზიდენტალი გაათავისუფლეს, მაგრამ ნაციონალები მაინც საგანგებო რეჟიმში რჩებიან.

— 5 დეკემბერს პოროშენკოს ოლიგარქიულმა რეჟიმმა და მისმა სპეცდანიშნულების რაზმებმა დააკავეს საქართველოს პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება არის ივანიშვილისა და პოროშენკოს ოლიგარქიული რეჟიმების შეთანხმებული რევანში თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი და უკრაინელი ხალხების წინააღმდეგ. მეტიც, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება ხდება რუსეთის ფედერაციის დაუფარავი მოთხოვნის საფუძველზე. სწორედ ამიტომ ნაციონალური მოძრაობა გადადის მოქმედების საგანგებო რეჟიმზე, — აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ.

მისი თქმით, ისინი საქართველოსთვის გადამწყვეტ ბრძოლას იწყებენ. მელიას აზრით, ვისთვისაც ქვეყნის ბედი სულ




ერთი არ არის, ყველა რუსთაველზე უნდა გავიდეს.

— მოვუწოდებთ ყველა საქართველოს პატრიოტს, უკლებლივ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს თავისუფლების იდეალები, გამოვიდეს 6 დეკემბერს, 14:00 საათზე, რუსთაველის მეტროსთან და მონაწილეობა მიიღოს ღირსების მანიფესტაციაში, — აღნიშნა მელიამ.

მათ გეგმების შეცვლა არც სააკაშვილის გამოხსნის შემდეგ ისურვეს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ აქცია მაინც გაიმართება. მისი თქმით, ხალხმა ოლიგარქებს თავისი ძალა უნდა აჩვენოს.

ყოფილი ხელისუფლება სამოქმედო გეგმას მანიფესტაციის მსვლელობისას გაახმოვანებს.

სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ შესაძლოა მათ დრო არ დარჩეთ. ქართული მარში მათი აქციის ჩაშლით იმუქრება.

მარშის ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ მომხრეებს მოუწოდა, ნაცონალებს აქცია ჩაუშალონ.

ნაციონალების აქციას სერიოზულად არ აღიქვამენ „ქართულ ოცნებაში“. მმართველი გუნდი მათგან პროვოკაციებს არ გამორიცხავს.

პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი ნაციონალების ლიდერ მიხეილ სააკაშვილსაც პროვოკატორად მიიჩნევს. ის იმათ გამოც ღელავს, ვინც მას გვერდით უდგას.




— მიხეილ სააკაშვილის გზა თავიდან ბოლომდე პროვოკაციაა — არ ვიცი, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მასთან ერთად დგას, რატომ ვერ გრძნობს, რომ ეს არის დაღუპვისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი. სამართალდამცავი ორგანოებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავს იმას, რომ ნაბიჯი გადადგმულია იქითკენ, რომ ყველაფერზე წამსვლელები არიან. მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით კანონი ძალიან სერიოზულად დაარღვიეს. ვფიქრობ, ეს არის უშეღავათო დაპირისპირების პირობა, რაც უკრაინისთვის ძალიან ცუდი შედეგების მომტანი იქნება, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის შეფასებით კი უკრაინაში პოლიტიკურ თამაშებს აქვს ადგილი. ის არც მეორე ვარიანტს გამორიცხავს.

— აქ ორი ვარიანტია, რაც თეორიულ დონეზე შეიძლება დავუშვათ — ან დიდ პოლიტიკურ თამაშებთან გვაქვს საქმე, რაშიც ვგულისხმობ იმას, რომ პოლიტიკური ხელისუფლება სააკაშვილის თემას სათხოვნელ თემად აქცევს და ამით პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ივალებს, ან უკრაინის სამართალდამცავი ორგანოები ბოლომდე ვერ ავლენენ თანმიმდევრულობას, — აღნიშნავს დეპუტატი.

# ვახტანგ გომელაური: „ქვეყანამ საფრთხე აიცილა“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური პარლამენტის ნდობის ჯგუფის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა ნდობის ჯგუფის წევრებს 21-22 ნოემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ მიმდინარე გამოძიების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

გომელაურის განცხადებით, თუ რას გეგმავდნენ ჩატაევი და მისი გარემოცვის წევრები საქართველოში, ამაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ორი მიმართულებით მუშაობს.

**ვახტანგ გომელაური:**

— ამ ეტაპზე ვმუშაობთ ორი მიმართულებით. გვეხმარებიან ჩვენი კოლეგები FBI-დან. ამ მიმართულებებს, სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ. ორი მიმართულებით ვმუშაობთ. გამოძიებით გამოიკვეთება, საქართველოზე მუშაობდნენ, სხვა მიმართულებით, ტერაქტის მოსაწყობად იყვნენ ჩამოსულები თუ სხვა, ამას ვერ ვიტყვი.

მისი განცხადებით, ახმედ ჩატაევმა და მისი გარემოცვის წევრებმა, რომელთა ლიკვიდირებაც სპეცოპერაციისას მოხდა, ე.წ. მწვანე საზღვარი გადმოკვეთეს.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტებს პარლამენტში, ნდობის ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

— რომელი ქვეყნის საზღვარი გადმოკვეთეს თბილისში, კონტრტერორისტული ოპერაციისას ლიკვიდირებულმა პირებმა, ამას ვერ დავასახელებ. ჩვენი ვერსიით, არის ე.წ. მწვანე საზღვრიდან გადმოსული, — აღნიშნა გომელაურმა.

სუსის ხელმძღვანელის განცხადებით, ტერორიზმში ბრალდებულებმა იარაღი ტყეში არსებული ერთ-ერთი სამალავიდან მოიპოვეს.

— ინფორმაციები რაც გვქონდა, ამომწურავად გავაცანით ნდობის ჯგუფს. გავეცი პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც არის საზოგადოებაში, როგორ გადმოვიდნენ საქართველოში, იარაღი საიდან მოიპოვეს, რას გეგმავდნენ, მომავალში რა უნდოდათ ამ ადამიანებს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი უფლებას არ მაძლევს, ყველაფერზე ღიად ვისაუბრო, თუმცა, ნდობის ჯგუფს, რაც გვქონდა დადასტურებული ინფორმაცია, გავაცანი. დადასტურებული გვაქვს ინფორმაცია იარაღთან დაკავშირებით, თუ საიდან მოიძიეს და მიიტანეს სახლში. ტყეშია ნაპოვნი, ერთ-ერთი სამალავიდანაა ამოღებული. ახლა ველოდებით ექსპერტიზებს, რათა მანაც დაადასტუროს, რომ ნამდვილად ამ სამალავიდან არის ამოღებული ეს იარაღები, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი განცხადებით, ქვეყანამ გარკვეული საფრთხე აიცილა.

**ვახტანგ გომელაური:**

— რაღაც საფრთხეები ქვეყანამ აიცილა. ეს არის კონტრტერორისტული დეპარტამენტის მუშაობის და მათ შორის, რა თქმა უნდა, შსს-ს მუშაობის შედეგი. სამწუხაროდ, ერთი ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არცერთი მშვიდობიანი მოქალაქე არ დაშავებულა. ვფიქრობ, სპეცოპერაცია სწორად ჩატარდა.

ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ პირთა ვინაობის დადგენაში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროა ჩართული.

— ვინაობა მხოლოდ ერთ-ერთის ვიცით. ველოდებით ექსპერტიზებს. ვთხოვეთ ამერიკელ კოლეგებს დახმარება და გვეხმარებიან დანარჩენი პირების დადგენაში, — განაცხადა სუსის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა.

# სპეცრაზმმა სააკაშვილი სახურავზე დააკავა, მაგრამ მისმა მომხრეებმა სპეცრაზმის მანქანიდან გაათავისუფლეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გუბერნატორს სასამართლოს ნებართვით უსმენდნენ.

ლუცენკოს თქმით, სააკაშვილის სასამართლო პროცესი ღია იქნება.

## „ვერანაირი სექსი ვერ შეედრება რევოლუციურ წარმატებას“

უკრაინის დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებამდე ერთი დღით ადრე უკრაინულ საიტზე „სტრანა უა“ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც სააკაშვილი უკრაინელ ჟურნალისტთან სამომავლო გეგმებზე საუბრობდა.

მიხეილ სააკაშვილი ინტერვიუში აცხადებდა, რომ პეტრო პოროშენკოს მისი ეშინია და არ გამორიცხავდა, რომ უახლოეს დღეებში დაეპატიმრებინათ.

სააკაშვილმა დიდ პოლიტიკაში ადამიანის მოღვაწეობის მოტივაციაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ რევოლუციური წარმატების მიღწევის მოტივაცია ყველაზე დიდი ძალაა.

— ვერანაირი სექსი ვერ შეედრება რევოლუციურ წარმატებას. რევოლუცია უფრო დიდი რამეა, ვიდრე ადრენალინი, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, რევოლუციის დროს ამქვეყნად ყველაფერი გავიწყდება, მათ შორის ოჯახიც.



# მკვლელობა ხორავაზე — დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის სრულწლოვანი პირები პატიმრობაში დარჩნენ

გუშინ, 5 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა პროცესი, რომელზეც ხორავაზე მომხდარი მკვლელობის შეუტყობინებლობისთვის დაკავებული პირების აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელეს.

სასამართლომ დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული სრულწლოვანი პირები პატიმრობაში დატოვა, 21 წლამდე ასაკის პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, ხოლო არასრულწლოვანი მშობლის მეთვალყურეობაში გადასცა.

საქმის პროკურორ იოსებ ხუციშვილის განცხადებით, პროკურატურამ წარადგინა კონკრეტული მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები, სადაც აღნიშნულ პირთა ბრალეულობა იკვეთებოდა და სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია სრულად გაიზიარა.

— სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა. სრულწლოვანი პირები დარჩნენ პატიმრობაში, 21-წლამდე ასაკის პირი გათავისუფლდა 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, ხოლო არასრულწლოვანი გადაეცა მშობელთა მეთვალყურეობის ქვეშ. ჩვენ წარმოვადგინეთ კონკრეტული მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები, რამაც დაარწმუნა სასამართლო, რომ დაეკმაყოფილებინა ჩვენი შუამდგომლობა, — განაცხადა იოსებ ხუციშვილმა.

ბრალდებულთა ადვოკატების განცხადებით, პროკურატურას არ ჰქონდა მყარი მტკიცებულებები და არგუმენტირებული შუამდგომლობა მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა პატიმრობაში დატოვებასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ მას შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რაც სა-



სამართლოს შესაბამისი განჩინება ჩაბარდებათ.

# ლია მუხაშავრია: „სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი გადაიწევს“

ნათია ხურცილავა



**გუშინ მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში დააკავეს. რამდენიმე საათის შემდეგ ის მომხრეებმა გაათავისუფლეს. ადამიანის უფლებათა დამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოს მესამე პრეზიდენტის დაკავების სამართლებრივ მხარეზე საუბრობს.**

***— ქალბატონო ლია, უკრაინის პროკურორმა, ლუცენკომ სააკაშვილის მიმართ ძალიან მწვავე ბრალდებებზე ისაუბრა რადაში გამოსვლისას. როგორ შეიძლება სამართლებრივად პროცესები განვითარდეს? ექსტრადირების საკითხი დღის წესრიგში დადგება?***

— მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილს, უკრაინის ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ძალიან მძიმე ბრალდებები წაუყენა, ქართული მხარის მოთხოვნა ექსტრადირებაზე და მოთხოვნის დასაბუთება საქართველოში სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესახებ, გაცილებით სუსტი და ნაკლებ მნიშვნელოვანი დანაშაულებისგან შედგება. ამიტომ ექსტრადირების საკითხი არ დადგება.

***— სამართლებრივად, ვინაიდან პირმა უკრაინის ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული, მას უკრაინული სამართალი გაასამართლებს?***

— დიახ. სამართლებრივად ასეა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, თუ სააკაშვილს წაყენებულ ბრალდებებს სასამართლო მოუხსნის და გაამართლებს, შეიძლება აღიძრას საქმე საქართველოს მოთხოვნის საფუძველზე და ამ შემთხვევაში შეიძლება ექსტრადირებაზე იყოს საუბარი.

***— ქალბატონო ლია, ექსტრადირების მოთხოვნა ვადებს რამდენად ექვემდებარება, ხელახალი მოთხოვნა დასჭირდება საქართველოს ხელისუფლებას თუ ექსტრადირების საკითხი დადგება?***

— არა. ექსტრადირების მოთხოვნა უკვე არსებობს. მართალია დაწუნებული იყო, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ხარვეზები შევსებული აქვს ქართულ მხარეს და მოთხოვნა ხელახლა არის გაგზავნილი.

***— დღეს სააკაშვილი არც ერთი ქვეყნის მოქალაქე არ არის. მან დატოვა საქართველოს მოქალაქეობა, როდესაც უკრაინის მოქალაქე გახდა და უკრაინის პრეზიდენტმა მას უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა. შეიძლება სამართლებრივად პირი იყოს მოქალაქეობის გარეშე?***

— რა თქმა უნდა.

# დავით წიქარიძე: „უცხოეთში არცერთი ქვეყნის ეროვნული ბანკი მევახშის დონეზე არ ჩამოდის“



— კარგია, რომ ეროვნულ ბანკს არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციების რეგულირება სურს, თუმცა მეორე საკითხია, როგორ აპირებს ამის განხორციელებას, — ასე ეხმაურება „კომერსანტთან“ საუბრისას ფინანსისტი დავით წიქარიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებას არასაბანკო საფინანსო სექტორის რეგულირებასთან დაკავშირებით.

— არასაბანკო სექტორთან დაკავშირებით ჩვენი მიდგომა არის ის, რომ უნდა დაიწყოს ამ სექტორის რეგულირება, რადგან იქ არის იმის საფუძველი, რომ შეიქმნას საკმაოდ დიდი მოწყვლადობა. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მიდგომები, თუ როგორ უნდა მოევლოს ამას. ეს პაკეტი პარლამენტშია წარმოდგენილი. ჩვენ გვაქვს განსაზღვრული ისე, რომ არასაბანკო საფინანსო სექტორის რეგულირება დავიწყოთ თავიდან რბილად. ვფიქრობ ეს შეამცირებს იმ მოწყვლადობას, რომელიც ამ სექტორში დღესდღეობით არსებობს, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ფინანსისტი დავით წიქარიძე მიიჩნევს, რომ ყველა სფეროს დარეგულირება რთული პროცესი იქნება.

— აუცილებლად დასარეგულირებელია საბირჟო-სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც ბოლო დროს ასე მომრავლდა. ამ სფეროში სავალალო სიტუაციაა და აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ 5 წლის წინ ეროვნულ ბანკს წერილითაც კი მივმართე.

საერთოდ, კარგია, რომ ეროვნულ ბანკს არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციების რეგულირება სურს, თუმცა მეორე საკითხია როგორ აპირებს ამის განხორციელებას. რამდენად მოხდება ყველა სფეროს დარეგულირება ეს სხვა საქმეა. მაგალითად, კერძო იპოთეკარებს ეროვნული ბანკი ვერ დაარეგულირებს, — განაცხადა დავით წიქარიძემ.

„კომერსანტთან“ საუბრისას ექსპერტი უცხოეთის ქვეყნების მაგალითსაც განიხილავს და აცხადებს, რომ ფინანსურ ორგანიზაციებზე რეგულირებას იქ არა ცენტრალური ბანკი, არამედ სამინისტროები ახორციელებენ.

— როგორც დასავლურ ქვეყნებში, ჩვენთანაც კანონი უნდა არსებობდეს, რომ არასაბანკო დაწესებულებები რეგულაციების ქვეშ იყვნენ. ამის კონტროლი ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო სამსახურს, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური ზედამხედველობის განყოფილებას უნდა დაევალოს. ასე ხდება სხვა განვითარებულ ქვეყნებში უცხოეთში არცერთი ქვეყნის ეროვნული ბანკი მევახშის დონეზე არ ჩამოდის, — აღნიშნა წიქარიძემ.

# მამუკა გვაძაბია: „ოლიგარქიული რეჟიმი უკრაინაშიც და საქართველოშიც უნდა დამარცხდეს!“

## უკრაინის ხელისუფლებამ უკან უნდა დაიხიოს

გულიკო ბალაძე

**უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე „ახალი თაობა" ექსპერტ მამუკა გვაძაბიას ესაუბრა.**

***— ბატონო მამუკა, რაღაც სპექტაკლი იდგმება უკრაინაში იმის მაგვარი, როგორიც იყო პოლონეთის საზღვრის გარღვევა და სააკაშვილის შეყვანა ამ ქვეყანაში.***

— სპექტაკლის გარეშე პოლიტიკა არ არსებობს, მაგრამ უკრაინის სპეცსამსახურებმაც რომ სააკაშვილის დაკავება ვერ განახორციელეს, ცხადია. სახურავზე გაქცეულ კაცს სახურავი ტრიბუნად უქციეს. ერთი კაცის ჩაყვანას რა უნდოდა ყოველგვარი აჟიოტაჟისა და გართულებების გარეშე. მე 100%-ით ვიცი, რომ სააკაშვილს უკრაინის სპეცსამსახურებში, შინაგან საქმეთა ორგანოებში, ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე პირებში დიდ რაოდენობით მომხრეები ჰყავს. მათ მიაწოდეს ინფორმაცია მისი დაკავების მოსალოდნელი სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ. დაკავება შემდეგ შეცვალეს შინაპატიმრობის მოთხოვნით. შინაპატიმრობა კი არა, გათავისუფლდა. უკრაინას ისეთი ხელისუფლება ჰყავს, საზოგადოებას მოყირჭდა, ერთი მხრივ, საომარი მოქმედებები, მეორე მხრივ, საერთო მტერთან საერთო ფულის კეთება და ა.შ. ზოგიერთი ჩემი ნაცნობისაგან კარგად ვიცი ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეების განწყობა ხელისუფლების მიმართ. ულტიმატუმიც კი იყო, თუ დაიჭერდნენ სააკაშვილს, ისინი კიევისაკენ დაიძვრებოდნენ. ყოველივე ამან კომპლექსურად შექმნა ის სიტუაცია, რაც შეიქმნა.

ევროპის უდიდესი სახელმწიფოს დედაქალაქში ხალხმა, ფაქტობრივად, დატუსაღებული კაცი, ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ, გაათავისუფლა. ეს არის ფაქტი. მოვლენები როგორ განვითარდება, კარგად ვიცი.

***— როგორ შეიძლება განვითარდეს?***

— გამორიცხულია სისხლისღვრა და მსგავსი რამ. თუ უკრაინის ხელისუფლებას ჭკუა აქვს, უკან უნდა დაიხიოს და მიიღოს ის კანონი, რომელსაც პარლამენტს სთავაზობენ.

***— რატომ უნდა მიიღოს?***

— იმიტომ რომ, ფაქტობრივად, პრეზიდენტი ხელშეუხებელია. არც იმპიჩმენტი მოქმედებს და არც არაფერი. ამის მოთხოვნა არის და ხელისუფლება დათმობაზე უნდა წავიდეს. ის, რომ პოლიტიკურად უფრო ძლიერი გამოდის სააკაშვილი ამ პროცესებიდან, ცხადია, არ აქვს მნიშვნელობა, მომავალში რა მოხდება. პოროშენკოს ხელისუფლება დღეს, ფაქტობრივად, გადატყდა. ამას უახლოეს დღეებში და მომავალში დაინახავთ.

***— ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეები საქართველოდან პორტირებული პირები არიან, რომლებიც სააკაშვილის დაპატიმრების შემთხვევაში კიევისკენ უნდა დაძრულიყვნენ?***

— საქართველოდანაც არიან და იქაურებიც. ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეთა 90% პოროშენკოს მოწინააღმდეგეა იმიტომ, რომ პოროშენკო და მისი მომხრეები ფულს აკეთებენ.

***— რომელ ანტიტერორისტულ ოპერაციაზეა საუბარი?***

— საუბარია ანტიტერორისტული ოპერაციებზე, რომლებიც ტარდება უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების ზონაში. მასში მონაწილეობენ არა მარტო უკრაინელი მეომრები, არამედ ქართველი მეომრებიც. ისინი ხედავენ, რომ ის ძალა, რომელიც დღეს ხელისუფლებას წარმოადგენს, ფულს აკეთებს რუსეთთან ერთად.

***— გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინა მტკიცებულებები მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობის შესახებ. ერთ-ერთი ბრალდება მათ შორის იყო სააკაშვილის კავშირი იანუკოვიჩთან და ხელისუფლების დამხობის მზადება, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, სამშობლოს ღალატი. სააკაშვილს იანუკოვიჩის მომხრე ძებნილი ბიზნესმენი სერგეი კურჩენკო აფინანსებსო. ირკვევა, რომ უკრაინის სპეცსამსახურები მხოლოდ სააკაშვილის აყვანის სპეცოპერაციას არ ახორციელებდნენ.***

— ეს არის უკრაინის ხელისუფლებისა და ბრალდების მხარის, პროკურატურის პოზიცია, რომ სააკაშვილი ციხეში ჩასვან. მე კარგად ვიცი, სააკაშვილს ის არ აფინანსებს.

***— აბა, ვინ აფინანსებს?***

— მაგას არ ვიტყვი, რა თქმა უნდა.

***— თქვენ საიდან იცით, სააკაშვილს ვინ აფინანსებს?***

— მე ნაწილობრივ ვიცი, სააკაშვილს ფული საიდან აქვს, მაგრამ არ ვიტყვი. ის, ვინც დასახელებულია, არავითარ შემთხვევაში არაფერ შუაში არ არის. იმ ლაპარაკში, რომელიც გენპროკურორმა გამოაქვეყნა, სააკაშვილი საერთოდ არ ფიგურირებს. ასეთი ჩანაწერი შეიძლება ნებისმიერმა შექმნას და შემდეგ ბრალდებად წარადგინოს.

***— ფაქტია, სააკაშვილი ძალადობრივი გზით და საზღვრის დარღვევით შევიდა უკრაინაში, დაკავებული პირი, სააკაშვილი, პოლიციას წინააღმდეგობას უწევდა. სხვა დანაშაული რომ არ ჰქონდეს, მხოლოდ ამისთვის პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება?***

— დააკისრონ, პასუხისმგებლობას რატომ არ აკისრებენ. პროკურატურა, სასამართლო მათ ხელშია. პასუხისმგებლობის დაკისრებას რად უნდა უნიათო სპეცოპერაციის ჩატარება? დავაკავებდი, წავუყენებდი ბრალს, გავუშვებდი თავისუფლებაში და ის ჩვეულებრივად თავის საქმეს გააკეთებდა. თუ ბრალი დაუმტკიცდებოდა, ჩაჯდებოდა ციხეში. ეს კი არ უნდოდათ. რამდენადაც ვიცი, სააკაშვილის პარტია იკრებს ძალებს და მისი განეიტრალება უნდათ. ამას ბავშვიც მიხვდება. პოროშენკოს ეშინია, თბილ ადგილს არის მიჩვეული, არ იცის პოლიტიკური ბრძოლის სიმწარე. დეპუტატები, სასამართლო მის ხელშია, საემიგრაციო სამსახური იქ არის. გაასამართლონ და ციხეში ჩასვან.

***— კვალი რუსეთისკენ მიდისო, ანუ უკრაინის პროკურატურა სააკაშვილის რუსეთთან კავშირებზე საუბრობს.***

— გასაგებია. ენას ძვალი არ აქვს. ასე შეიძლება ყველაფერი თქვა. მაშინ პროკურორმა ეს უნდა დაამტკიცო. რუსეთის გავლენის სფეროები ვიწროვდება. რაც უფრო ვიწროვდება რუსეთი, მით უფრო მწარედ იკბინება. როცა ამბობს, კვალი რუსეთისკენ მიდისო, ამხელა სახელმწიფოს პროკურორმა ეს უნდა დაამტკიცო.

***— პესკოვმა განაცხადა, რომ სააკაშვილი არის უკრაინის თავისტკივილი. ეს შემთხვევით ნათქვამი სიტყვები არ არის.***

— დღეს რა ნაბიჯსაც დგამს უკრაინის ხელისუფლება და რა პოლიტიკურ ჩიხშიც შედის, ვხედავ, ისინი პოლიტიკურ პასუხს აგებენ.

***— სხვათა შორის, მომისმენია, რომ სააკაშვილსა და პოროშენკოს ერთი უფროსი ჰყავთ და რუსეთისკენ იშვერენ ხელს. შესაძლოა პოროშენკოს უბრძანეს, რომ სააკაშვილი გამოეშვა.***

— ასეთ ადამიანთან პოლემიკაში არ შევალ. ასეთი რამ პროპაგანდისტული თვალსაზრისით გამოიყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ. ვინ დაიჯერებს ახლა, რომ სააკაშვილი რუსეთის თამაშს თამაშობს.

***— თქვენ ახლა ძალიან კი იცავთ სააკაშვილს, მაგრამ რუსეთის თამაში სააკაშვილმა არაერთხელ ითამაშა.***

— მე არავის ვიცავ, ობიექტური ვარ და არაერთხელ გამიკრიტიკებია სააკაშვილი. ამ შემთხვევაში ვახდენ ფაქტების კონსტატაციას. სააკაშვილს კი არ ვიცავ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაინტერესებს, ის ოლიგარქიული რეჟიმები, რომლებიც არის დღეს უკრაინასა და საქართველოში, დამარცხდეს.



***— ვიმეორებ, რუსეთის თამაში სააკაშვილს არაერთხელ უთამაშია, ნებსით თუ უნებლიეთ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის პირობებში რუსეთმა ყველაზე მეტი მიიღო და ყველაზე მეტი სარგებელი ნახა.***

— იმაზე, რასაც ახლა თქვენ ამბობთ, არაერთხელ გამიკეთებია კომენტარი და ის მოვლენები ძალიან მძიმედ შემიფასებია იმ დროს.

***— უკრაინის დედაქალაქში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული ასახვა ჰპოვა საქართველოზე.***

— უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს აუცილებლად ექნება გამოძახილი საქართველოში.

***— ამჟამინდელი ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა მელიამ განაცხადა, რომ რუბიკონი გადალახულია, ნაციონალები იწყებენ გადამწყვეტ ბრძოლას და 6 დეკემბერს ღირსების აქციაზე იწვევს მხარდამჭერებს. აქციაზე მიდიხართ?***

— იდეურად ამ აქციის მომხრე ვარ, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეიძლება ვერ წავიდე, მაგრამ ოლიგარქიული რეჟიმებია უკრაინაშიც და საქართველოშიც. რუბიკონი უნდა გადაილახოს საქართველოშიც და უკრაინაშიც.

***— ხელისუფლება ისევ სისხლისღვრითა და რევოლუციის გზით უნდა შეიცვალოს?***

— არა, რა თქმა უნდა. სისხლისღვრით მოვლენების განვითარებას გამოვრიცხავ. უკრაინასა და საქართველოში, არა მგონია, ხელისუფლებაში ვინმე ისეთი სულელი და შტერი იყოს, სისხლისღვრის პირობები შექმნას. სისხლისღვრისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. როგორც 2012 წელს შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით, ისე შეიცვლება ეს ხელისუფლება თავის დროზე არჩევნების გზით.

***— ნაციონალების ხელისუფლებაში ისევ დაბრუნება წარმოგიდგენიათ?***

— არ ვიცი, ხელისუფლებაში ვინ დაბრუნდება. პოლიტიკური პარტიები არიან, რომლებიც საზოგადოებას თავიანთ ხედვებს შესთავაზებენ და, ვინც გაიმარჯვებს, ის დაბრუნდება ხელისუფლებაში, ან სხვა ვინმე მოვა.

***— სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა რადას შენობასთან გადაინაცვლეს. დღევანდელ მოვლენებს კიდევ რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს?***

— შეიძლება ძალიან რთული პროცესები მოჰყვეს. მოვლენების ობიექტური შემფასებლები უნდა ვიყოთ და არა ანგაჟირებულები. არ გამოვრიცხავ, ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, მათ შორის, საქართველოში.

***— ისე, სიტუაციის არევა უკვე ძალიან არასასურველია.***

— არც მე მინდა, მაგრამ, როგორ სჯობს, ისეთი მშვიდობა იყოს, რომელიც ხალხს სისხლს სწოვს თუ ისეთი შეხლა-შემოხლა, რომელიც ქვეყანას სისხლის მწოველებისაგან გაათავისუფლებს.

არჩევნების გზით საზოგადოება ვისაც აირჩევს, ის მოვა. ვადამდელ არჩევნებს არ გამოვრიცხავ, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

# მამუკა გამყრელიძე: „კრიმინალური მენტალიტეტი ისევ ჭაობში გვითრევს“

## „ასეთი სასტიკი დანაშაულისთვის ბავშვიც მკაცრად უნდა დაისაჯოს. ან რაღა ბავშვია 16 წლის ოყლაყი?“

ნონა ცაბაძე

**ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ „ახალი თაობის" კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, რამდენიმე დღეა, საზოგადოება შოკიდან ვერ გამოსულა და იმ შემზარავ ამბავს უტრიალებს, რომელიც ხორავას ქუჩაზე მოხდა. რას იტყვით თქვენ, რა ჭირს ჩვენს საზოგადოებას?***

– რასაც ჩვენ ბულინგს ვეძახით – დაცინვა, დამცირება, ერთგვარი აგრესია, აბუჩად აგდება, არ არის უცხო არც ერთი საზოგადოებისათვის, ყველგან არის ეს, მეტ-ნაკლებად ბავშვებში გავრცელებული. ბავშვებში ეს აგრესია გამოწვეულია მათი ინფანტილიზმით. უბრალოდ, მათ არ იციან, რას ნიშნავს ტკივილი, ამას ყველაფერს გაუაზრებლად აკეთებენ. ბავშვობაში ყველას გყავს ბაყაყები გაბერილი და ბუზები დაწიწკნილი, ამას მეც ვაკეთებდი და ჩემ გარშემო ყველა ბავშვი.

***– თუმცა, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, არ არის ბავშვური სისულელე. სპეციალისტებისგან მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს არის სადიზმი.***

– მე ცოტა სხვა შეფასებას მივცემდი ამ ამბავს. ეს არის უფრო შიში. შიში, რომელმაც დაისადგურა არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ უფროსებშიც.

***– რისი შიში? თავის გადარჩენის?***

– არა მხოლოდ თავის გადარჩენის, არამედ ეს არის შიში დაუცველობის შეგრძნების. განვითარებულ ქვეყნებში ურთიერთობებს, რომლებიც იძაბება ინდივიდებს შორის, არეგულირებს სახელმწიფო, სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ამისთვის არსებობენ. ეს არის პოლიცია, ეს არის სპეცსამსახურები, სამსახურები და ასე შემდეგ.

***– ჩვენთან ასე არ ხდება?***

– ჩვენთან სასამართლო და პოლიცია ყოველთვის იჭერს ძლიერის მხარეს. ამიტომ მე ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებ და მე ჩემი სიმართლის გასარკვევად და დასამტკიცებლად ან ავტორიტეტს უნდა მივმართო, ან მე თვითონ ვიძალადო. ეს ჩადებულია თვითონ საზოგადოებაში და ბავშვობიდან მოყვება. სწორედ აქედან გამომდინარე იყო ეს მახინჯი ქურდის ინსტიტუტი, რომელიც არკვევდა ჩვენ შორის ურთიერთობებს, იმიტომ, რომ სასამართლოს იმედი არავის ჰქონდა.

იგივე ხდება ბავშვებშიც. ბავშვი ცდილობს, თავის თავი თვითონ დაიცვას, ან მასზე ძლიერი დაიხმაროს და იძულებულია, თვითონვე იძალადოს. თუ ეს კრიმინალური მენტალიტეტი ყალიბდება საზოგადოებაში, რომ სასამართლო, სახელმწიფო და კანონი არ მუშაობს და მუშაობს რაღაცა კრიმინალური დათქმა და კრიმინალი მართავს საზოგადოებას, მაშინ გვიწევს კრიმინალით ცხოვრება. რომ მაპატიეთ და „ბოზობაა“ დასმენა, პოლიციასთან თანამშრომლობა, ან შესჩივლო უფროსს, შესჩივლო მასწავლებელს და ასე შემდეგ, რომ ვიღაცა გჩაგრავს...

***– ეს ცუდი ტონია, არ მოსულა?***

– დიახ, ეს თურმე „ბოზობაა“! ეს არის პრობლემა თავად ჩვენი საზოგადოების. შენ ცხოვრობ არა სახელმწიფოს წესებით და კანონებით, არამედ კრიმინალური წესებით. ანუ ეს სახელმწიფო აღარ არის, ეს არის უკვე კრიმინალური „ხატა“ და ეს იმართება კრიმინალური კანონებით და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ შენ კონსტიტუცია არ გაქვს!

***– ამდენი თვითმხილველია, ამდენი მონაწილე და პოლიციასთან არ ითანამშრომლა თითქმის არავინ. ესეც ხომ სერიოზული პრობლემაა?***

– ბავშვებმა შეიძლება არ ითანამშრომლეს, მაგრამ იქ მცხოვრებლებმა ითანამშრომლეს, მათ შორის იყო ჩემი მეგობარი ნიკა ვაჩეიშვილი. მათ ეზოში მოხდა. ნიკამ მითხრა, ზემოდან ვუყურებდით მე და ჩემი მეუღლე, ჩასვლასაც კი ვერ მოვასწრებდით, ისე უცებ მოხდა ეს ყველაფერი, დაახლოებით ერთი წუთი გრძელდებოდაო. ვერც კი დავინახე სახეები, ყველაფერი ფრაგმენტულად მახსოვსო. იმის ამოცნობაც კი გამიჭირდება, ვინ დაარტყა დანაო.

ერთი კვირა ან ათი დღე არის შოკის პერიოდი. ყველა შოკშია. გადაივლის ეს და ნელ-ნელა ამ ფრაგმენტების აწყობა მოხდება და უფრო კარგად გაიაზრებენ, ვინ, როგორ და რა იყო. უნდა ვაცადოთ შოკიდან გამოსვლა, ეს არ არის უბრალო რაღაც. ასე უმოწყალოდ დაჩეხეს ბავშვი. მეც მქონია მსგავსი შემთხვევა.

***– რა სახის?***

– მე შევესწარი ასეთ ფაქტს, ბავშვიც მყავს გადარჩენილი. ოთხი ლაწირაკი ბიჭი ჩეხავდა თავის თანატოლს ვერაზე, გამოვგლიჯე ხელიდან და საავადმყოფოში მივიყვანე. ეს საშინელებაა, ამის ყურება არის შეუძლებელი. ყველას არ ყოფნის ნერვები. კიდევ კარგი, რომ იმ 9 წელმა საზოგადოების რაღაც ნაწილში შეცვალა სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება და ხალხი არ არის მთლად ისე დაბეჩავებული, რომ შეეშინდეს და არ თქვას. თანამშრომლობა აუცილებელია. ან ჩვენ ვიცხოვრებთ კრიმინალური კანონებით და მაშინ არ გვექნება სახელმწიფო, ან ვიცხოვროთ იმ კანონებით, რომლებიც დათქმულია ჩვენ შორის და ეს დათქმა გახლავთ კონსტიტუცია.



**„ოთხი ლაწირაკი ბიჭი ჩეხავდა თანატოლს ვერაზე, გამოვგლიჯე ხელიდან და საავადმყოფოში მივიყვანე“**

***– საზოგადოების დიდი ნაწილიც მოითხოვს, რომ სასჯელიც უნდა იყოს უმკაცრესი და სხვისთვის გაკვეთილი. რამდენად გამოდგება გაკვეთილად?***

– ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავყოთ განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულები და ჩვეულებრივი დანაშაულები. მოზარდი რომ შოკოლადს მოიპარავს, ამისთვის სასტიკად მისი დასჯა არ შეიძლება, მაგრამ როდესაც ამას მეორედ და მესამედ გაიმეორებს, ის უკვე რეციდივისტია. მის მიმართ კანონი უნდა იყოს ზუსტად ისეთივე, როგორიც არის ზრდასრულის მიმართ.

იტალიაში იყო პერიოდი, როდესაც მაფია ძალიან აქტიურად იყენებდა ბავშვებს. 10 წლის ბავშვები ხოცავდნენ ზრდასრულებს. იტალიამ შემდეგ მიიღო კანონი, რომ ბავშვებსაც ზუსტად ისე სჯიდნენ, როგორც ზრდასრულებს და შეწყდა ეს პრაქტიკა. როდესაც ასეთი სასტიკი დანაშაულები ხდება, ბავშვი უნდა დაისაჯოს მკაცრად. ან რაღა ბავშვია 16 წლის ოყლაყი? 16 წლის ასაკში ალექსანდრე მაკედონელმა ნახევარი მსოფლიო დაიპყრო.

***– მაინც რაში მდგომარეობს გამოსავალი, რა უნდა შევთავაზოთ საზოგადოებას? სად არის გამოსავალი, რა უნდა გაკეთდეს, უპირველეს ყოვლისა?***

– ზუსტად დღეს ვფიქრობდი მაგას, რომ დღეს ჩვენ დავმარცხდით.

***– ვისთან, საკუთარ თავთან?***

– დიახ, საკუთარ თავთან. ასევე ჩვენ დავმარცხდით გარე ძალებთან, დავმარცხდით იმ კრიმინალურ მენტალიტეტთან, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. ჩვენი საზოგადოების უპირველესი პრობლემა გახლავთ ეს შიში და არასრულფასოვნების კომპლექსი. სამწუხაროდ, ჩვენ დავმარცხდით. ამ 9 წლის შემდეგ საზოგადოებამ დაიწყო სწორ გზაზე გადალაგება, მაგრამ მალევე შეეწინააღმდეგა საზოგადოება და ისევ თავის ბუნებრივ კალაპოტში დაბრუნდა. ეს მდგომარეობა ჩვენთვის კი ჩვეული ჭაობია, მაგრამ მსოფლიო ტრენდიდან სრულიად არის ამოვარდნილი. ანუ მსოფლიო ვითარდება, მსოფლიო მიდის წინ და ჩვენ ვრჩებით ჭაობში.

***– ჩვენი საზოგადოება არ არის მზად წინსვლისთვის?***

– ჩვენი საზოგადოება არათუ მზად არ არის, არამედ ცდილობს, რომ რასაც შეჩვეულია, ისევ იქ ჩარჩეს. ეს აუცილებლად გაგვანადგურებს. ჩვენი ქვეყანა, ყოველგვარი გადამეტების გარეშე გეუბნებით, განადგურდება, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

გავუსწოროთ სიმართლეს თვალი და ვაღიაროთ, რომ დავმარცხდით.

# გიგა ბუკია: „მოზარდებში აგრესია და დაუნდობლობა ჩვენი ბრალია“

## „სახელმწიფოში ანარქია წარმოუდგენელია“

მარიამ მჭედლიშვილი

**მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკიას.**



***– ბოლოდროინდელი ტრაგიკული შემთხვევებიდან გამომდინარე, საზოგადოება გამოსავალს ეძებს. ნაწილი სკოლებში ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემოღების მომხრეა, ნაწილი – უფრო მეტი თავისუფლებისა და სამოქალაქო განათლების სწავლების გაძლიერების.***

– ჩემი აზრით, გამოსავალი არც ერთია და არც – მეორე. სააკაშვილის მიერ დანერგილმა ნულოვანმა ტოლერანტობამ რა საშინელი შედეგიც მოგვიტანა, ვიცით. 90-იან წლებში გამოვიარეთ უკონტროლობა და განუკითხაობა. როგორც ჩანს, ბოლო 25-მა ან 30-მა წელიწადმა მძიმე კვალი დაამჩნია ჩვენს საზოგადოებას, ადამიანების ფსიქიკას. მიმაჩნია, რომ პრობლემები გვაქვს უფროსებსაც. მოზარდებში აგრესია და დაუნდობლობა ჩვენი ბრალია. ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობების გამო ვუსამძიმრებ მთელ საქართველოს. ეს ჩვენი საერთო ტრაგედიაა. ბავშვებზე აისახება არა მარტო უახლესი ისტორია სამოქალაქო დაპირისპირებით დაწყებული, ტერიტორიული კონფლიქტებით დამთავრებული, არამედ, ჩვენი ყოველდღიური აგრესიული ყოფა.

***– აგრესიულ ყოფაში რას გულისხმობთ?***

– ხალხი დილიდან ნეგატივით იმუხტება. მსოფლიოს რომელიმე კუთხეში თუ ვინმე ააფეთქეს, დახოცეს ან ცოცხლად შეჭამეს, ამაზე დილაადრიან გვატყობინებენ. ამ დროს იჩქმალება პოზიტიური, რაც ხდება მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სოციალურ ცხოვრებაში. გადაცემები, რომლებიც დებატის ხასიათს ატარებს, აუცილებლად კონფლიქტში უნდა გადაიზარდოს. ასეთ გადაცემებში არ იწვევენ იმ სტუმარს, რომელიც არ ჩხუბობს და მოწინააღმდეგეს შეურაცხყოფას არ აყენებს. მომხდარზე სერიოზულად უნდა იმსჯელონ და გამოსავალი მოიძიონ სპეციალისტებმა, მათ შორის, უცხოელებმა.

მე, როგორც არასპეციალისტი, ამ საკითხზე ისე ვსაუბრობ. ჩემი აზრით, ეს ბავშვები სარკეა იმისა, რაც რეალობაში ხდება და ბოლო წლებში მომხდარა. არის ქვეყნები, რომლებმაც მსგავსი პრობლემები გამოიარეს. მათი გამოცდილების გაზიარება კარგი იქნებოდა.

***– კონფლიქტები და ომები შეიძლება სხვა სახელმწიფოებმაც გამოიარეს, მაგრამ ჩვენში ერთ-ერთ პრობლემად სახელდება კრიმინალური მენტალიტეტი მოზარდებში.***

– მოზარდებში გავრცელებულ მენტალიტეტს კრიმინალურს ვერ დავარქმევ. შეიძლება ხანდახან თავს იჩენდეს ძველბიჭური ქცევა და თავის დამკვიდრების სურვილი. ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს. რა თქმა უნდა, უარყოფითი გამონაკლისი მათშიცაა.

მომავალი თაობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის გამოყენება სწორი არაა. მათ აგრესიულობაში ყველას მიგვიძღვის წვლილი. მათ შორის, სააკაშვილს. არ ვარ არც ანარქიის მომხრე. ის, ვინც ქადაგებს ყველაფრის თავისუფლებას, ანარქისტია. სახელმწიფოში ანარქია წარმოუდგენელია. არ შეიძლება, გამოაცხადო, რომ ვისაც უნდა, იმას მოწევს, დალევს და გაიკეთებს.

***– კონსერვატორების პოზიცია მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე ცნობილია.***

– ჩვენ ვეწინააღმდეგებით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას და ნარკოტიკების მოხმარების ხელშეწყობას. ვინც უკვე არის ნარკომანი, იმან მოზარდებიც არ უნდა გახრწნას. ყველაფრის თავისუფლება არ არსებობს. სრულიად თავისუფალი გიჟია! ამაზე ჩვენს ფრაქციას ეს პოზიცია გვაქვს და მას არ შევიცვლით.

***– სხვა საკითხსაც შევეხოთ. მთავრობის რეორგანიზაცია უმრავლესობაშიც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მხარს უჭერთ წარმოდგენილ ვარიანტს?***

– ნარკოტიკებზე ჩვენი მოსაზრების გამოთქმას საჯაროდ არ ვერიდებით, მაგრამ მთავრობის სტრუქტურული ცვლილებები ის საკითხია, რომელზეც ჩვენ დახურულ შეხვედრებზე ვსაუბრობთ.

ძირითადად, ეს პროექტი მისაღებია. გვაქვს ცალკეული შენიშვნები, რომლებსაც შიგნით განვიხილავთ. მთავრობასთან კონსულტაციები გრძელდება. იმედი მაქვს, საბოლოო ვარიანტი დაიხვეწება.

# დავით საგანელიძეს „ნიბა ინვესტთან“ გარკვეული მოთხოვნები აქვს



„ნიბა დელისი“ თუ ისეთ ფინანსურ მოდელს შეკრავს, როგორზეც შევთანხმდით, მზად ვართ, გვერდით დავუდგეთ“, – აღნიშნული განცხადება „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ „კომერსანტთან“ „ნიბა დელისის“ პროექტში საპარტნიორო ფონდი შესვლასთან დაკავშირებით გააკეთა.საგანელიძის ინფორმაციით, ფონდს გარკვეული მოთხოვნები აქვს „ნიბა დელისის“ განმახორციელებელ კომპანია „ნიბა ინვესტთან“. მისი განცხადებით, თუ ისინი ამ მოთხოვნებს გაითვალისწინებენ პროექტის განხილვა მოხდება.

– ეს იქნება სავაჭრო ობიექტი, მოლი, რომელიც „დელისის“ მეტროსთან აშენდება, თუ, რა თქმა უნდა, შეთანხმება მოხდება. სხვა დეტალების თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია. აქციონერებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იყო. ახლა მათ შორის ყველაფერი დალაგდა. უკვე სამომავლოდ ფინანსური მოდელი უნდა შეიკრას. ჩვენ კაპიტალში თანხას შევიტანთ. ამის გარდა, უნდა გაირკვეს, თუ რომელი ბანკი დააფინანსებს პროექტს. ისეთ ფინანსურ მოდელს თუ შეკრავენ, როგორზეც შევთანხმდით და ბანკიც გამოჩნდება, ამ შემთხვევაში მზად ვართ, რომ დავუდგეთ გვერდით. ისინი საკმაოდ აქტიურად მუშაობენ მოდელზე, – აცხადებს საგანელიძე.

რომელ ფინანსურ ინსტიტუტთან მიდის მოლაპარაკებები და, საერთოდ, შეძლებს თუ არა „ნიბა ინვესტი“ საპარტნიორო ფონდის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ თავად კომპანიაში ცადა, თუმცა, უშედეგოდ. ამ დრომდე „ნიბა ინვესტთან“ დაკავშირება ვერ ხერხდება.

წლების წინ შეჩერებული ა კლასის სავაჭრო ცენტრის პროექტის – „ნიბა დელისის“ მშენებლობა ფინანსური სახსრების არარსებობის გამო არაერთხელ გადაიდო. პროექტში თანხის გამოყოფაზე მოლაპარაკება თანაინვესტირების ფონდთან მიდიოდა, თუმცა, შეთანხმება ვერ შედგა.

შეგახსენებთ, „ნიბა დელისის“ პროექტი 35 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზეა გათვლილი. ის ითვალისწინებს 4 მიწისქვეშა საპარკინგე და 5-სართულიანი სავაჭრო ზონის მოწყობას. პროექტი 2 წელიწადში უნდა დასრულდეს. პროექტის ავტორი მსოფლიოში ცნობილი იტალიელი არქიტექტორი მაქსიმილიანო ფუქსასია, რომელიც მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორების ათეულში შედის. „ნიბა ინვესტმა“ „ნიბა დელისის“ პროექტის განხორციელება 2008 წლის თებერვალში დაიწყო. მშენებლობა მას შემდეგ შეჩერდა, რაც 2010 წელს კომპანიის ხელმძღვანელი ბაკურ კილურაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. ბიზნესმენი პატიმრობიდან ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაათავისუფლეს.

# 9.204 მილიარდი ლარი 14 სამინისტროსთვის

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ბოლო, მესამე ვერსიაში, მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები უკვე ასახულია და სამინისტროთა ბიუჯეტი ამ ცვლილებების შესაბამისად არის განსაზღვრული.

ცნობისთვის, ცვლილებების შესაბამისად, 18 სამინისტროს 14-მდე შემცირება მოხდება. ბიუჯეტის მეორე და მესამე ვერსიების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2018 წელს სამინისტროებისთვის გამოყოფილი თანხა დაახლოებით 92 მილიონ ლარამდეა შემცირებული. კერძოდ, თუ 2018 წლის ბიუჯეტის მეორე ვერსიის თანახმად, 18 სამინისტროზე დაახლოებით 9.296 მილიარდი ლარი იყო გათვალისწინებული, მესამე ვერსიაში ეს თანხა 14 სამინისტროსთვის 9.204 მილიარდ ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის მესამე წარდგენის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროდან გადმოტანილია ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვასა და შესაბამის პროგრამებზე გათვალისწინებული 4.4 მილიონი ლარი და მთლიანად უწყების დაფინანსება 1.186 მილიარდი ლარი იქნება.

ცვლილებების შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უერთდება ენერგეტიკის სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულება. ჯამში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის – 229.6 მილიონი ლარია განსაზღვრული.

პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით, 100 მილიონი ლარით არის გაზრდილი თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებული დაფინანსება და 802 მილიონ ლარს შეადგენს. როგორც ბიუჯეტის მესამე ვერსიაშია აღნიშნული, ეს თანხა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაძლიერებას მოხმარდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1.815 მილიარდი ლარი, რაც 557 მილიონი ლარით აღემატება 2017 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელს. ამასთან, საქართველოს



პარლამენტში წარდგენილია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც სამინისტროს 2018 წელს დასაფინანსებელი ღონისძიებებისთვის დამატებით 25 მილიონი ლარი გამოეყოფა.

ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება წინა ვერსიასთან შედარებით არ შეცვლილა და კვლავ 3 მილიარდ 528 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხის ფარგლებში სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის – 2.468 მილიარდი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის კი – 983.4 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

მთავრობის ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტში განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო, რომლისთვისაც 274.8 მილიონი ლარია გამოყოფილი.

35.4 მილიონი ლარით არის შემცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული დაფინანსება და ბიუჯეტის პროექტის მესამე ვერსიის მიხედვით 569.6 მილიონი ლარს შეადგენს. დაფინანსების შემცირება სამინისტროდან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის გამოყოფამ გამოიწვია. ცნობისთვის, ბიუჯეტის პროექტის წინა ვარიანტის მიხედვით რეზერვების დეპარტამენტისთვის ბიუჯეტის წინა ვერსიაში 0,3 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.

2018 წლის ბიუჯეტის მესამე ვერსიის მიხედვით, 5 მილიონი ლარით არის გაზრდილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაფინანსება და 150 მილიონი ლარით არის განსაზღვრული. როგორც პროექტის ბოლო ვერსიაშია ნათქვამი, დამატებითი თანხები სასჯელაღსრულების დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყენება.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 120.9 მილიონი ლარი. უწყების დაფინანსება ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენასთან შედარებით 3 მილიონ ლარამდეა გაზრდილი, რაც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამინისტროსთან შერწყმით არის გამოწვეული.

მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მიმართულება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შეუერთდა. შედეგად ჩამოყალიბდა კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომლისთვისაც, 2018 წლის ბიუჯეტის მესამე წარდგინების თანახმად, 285.3 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით, 1 მილიონი ლარით არის გაზრდილი იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება და ბიუჯეტის პროექტის ბოლო ვერსიაში 63 მილიონი ლარის ოდენობით არის განსაზღვრული.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის 96.2 მილიონი ლარია გამოყოფილი, მაშინ როცა, ბიუჯეტის პროექტის წინა ვერსიის მიხედვით, 96 მილიონ ლარამდე იყო გათვალისწინებული.

ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება 82.3 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტის წინა წარდგინებასთან შედარებით, არ შეცვლილა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ასიგნებები, პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით, გაზრდილია 350 ათასი ლარით და 1,6 მილიონ ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად ჩამოყალიბდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის დაფინანსება 82 მილიონ ლარს შეადგენს. მაშინ როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაფინანსება პროექტის წინა ვარიანტის მიხედვით 78,1 მილიონ ლარს შეადგენდა.

ამასთან, იგეგმებოდა საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეერთება. აღნიშნული გაერთიანებული სამსახურისთვის 2018 წლის ბიუჯეტის მესამე ვერსიის მიხედვით 137.5 მილიონი ლარია გათვალისწინებული. თუმცა, გუშინ, 4 დეკემბერს გახდა ცნობილი, რომ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება მთავრობამ პარლამენტიდან უკან გაიწვია. ცნობისთვის, 2018 წლის ბიუჯეტის წინა ვერსიის მიხედვით, ცალკე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის 123 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.

# 2018 წელს გზების მშენებლობაზე 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება

2018 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 1.815- მილიარდიანი ბიუჯეტი ექნება.

მთავრობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ხარჯების გაზრდას გეგმავს. შედეგად 557 მილიონით იზრდება მომავალ წელს კურატორი სამინისტროს ბიუჯეტი.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის ჯამში 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება.

მათ შორის განხორციელდება შემდეგი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია:

ავტობანზე ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი – 250.0 მლნ; ზემო ოსიაური-რიკოთი – 80.0 მლნ ლარი; სამტრედია-



გრიგოლეთის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-მშენებლობა – 150 მლნ ლარი; ბათუმის ახალი შემოვლითი გზა – 70.0 მლნ ლარი; ჩუმათელეთი-ხარაგაულის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია – 45.0 მლნ ლარი; ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა – 30 მლნ ლარი; ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია – 30.0 მლნ ლარი; აგარა – ზემო ოსიაური – 20.0 მლნ ლარი; ზემო იმერეთი (საჩხერე) – რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა – 25 მლნ ლარი; – სნოჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა – 20.0 მლნ ლარი; გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა – 60.0 მლნ ლარი; – მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზისა და გვირაბის მშენებლობა – 53.0 მლნ ლარი; – თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა – 25 მლნ ლარი და სხვა.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 288.5 მლნ ლარი, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 196.0 მლნ ლარი.

# გიგლა თამაზაშვილი „ყაზტრანსგაზ თბილისის" ახალ მმართველად დაინიშნა

შპს „ყაზტრანსგაზ თბილისს" ახალი სპეციალური მმართველი ჰყავს.

საკითხზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 5 დეკემბრის საჯარო სხდომაზე იმსჯელა.

შედეგად, „ყაზტრანსგაზ თბილისში" სპეციალურ მმართველად ამ თანამდებობაზე გიგლა თამაზაშვილი დაინიშნა. თამაზაშვილი სპეციალური მმართველის თანამდებობას 2018 წლის პირველ აპრილამდე დაიკავებს.

გიგლა თამაზაშვილი ენერგეტიკის სექტორში 2005 წლიდან საქმიანობს. ბოლო პერიოდის განმავლობაში დღემდე მას ეკავა შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" ტექნიკური დირექტორის თანამდებობა.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" ყაზახური სს „ყაზტრანგაზის" შვილობილი კომპანიაა, რომელიც 2006 წლის 9 მარტს დაფუძნდა. 2009 წლის 16 მარტიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" სპეციალური მართვის რეჟიმში ფუნქციონირებს.

კომპანია დედაქალაქის მასშტაბით 417.708 გაზიფიცირებულ აბონენტს ემსახურება, მათ შორის მოსახლეობის სექტორში 401.704 აბონენტს, 1898 მსხვილ მომხმარებელსა და 14.106 სამრეწველო და კომუნალურ მომხმარებელს.





# მატლიანი შოკოლადი და ნამცხვრები, რომელსაც ნავთის სუნი ასდის – რა დარღვევები აღმოჩნდა სავაჭრო ობიექტებში

მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის ხარისხზე უამრავი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა, მაგრამ, მიუხედავად კონტროლის გამკაცრებისა, უხარისხო საკვები პროდუქტები საქართველოს ბაზარზე მაინც იყიდება.

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ასეთ ნაწარმს პრესტიჟულ მაღაზიათა ქსელშიც ყიდიან. რამდენიმე ასეთი ფაქტის შესახებ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორი ვახტანგ კობალაძე გვიამბობს:

ვახტანგ კობალაძე:

– ჩვენი ორგანიზაცია პროდუქციის ხარისხს მომხმარებელთა განცხადებების საფუძველზე იკვლევს. როდესაც მომხმარებელი აღმოაჩენს პროდუქტს, რომელიც გაფუჭებულია, ან ვადა აქვს გასული, ან სხვა წუნი აქვს და ამის თაობაზე გვაცნობებს, ჩვენ მივდივართ, ვიღებთ ქსელიდან ამ პროდუქტის ნიმუშს და თუ საჭიროა, ლაბორატორიულადაც ვამოწმებთ. მიმდინარე წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა მომხმარებელმა გვაცნობა, რომ ერთ-ერთ ცნობილ სავაჭრო ქსელში შეიძინა შოკოლადი და მასში მატლები აღმოაჩინა. ჩვენ მის მიერ მითითებულ მაღაზიაში შევიძინეთ შოკოლადის ნიმუში და ლაბორატორიაში ანალიზისთვის ჩავაბარეთ. ლაბორატორიამაც დაადასტურა, რომ შოკოლადში მატლები იყო. შემდეგში ეს მაღაზია სურსათის ეროვნულმა სააგენტომაც შეამოწმა, მაგრამ იქ ეს პროდუქტი ვეღარ იპოვეს. ამის შემდეგ სააგენტოს წარმომადგენლებმა შეამოწმეს დახლები, სადაც ტკბილეული იყო განთავსებული და იქ მატლის ჭუპრები აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ ასაწონი ტკბილეულის დახლებზე ჰიგიენური ნორმები არ იყო დაცული. ამის შემდეგ ტკბილეულის დახლები სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით დახურეს, ხოლო მაღაზია დააჯარიმეს.

ვახტანგ კობალაძემ სხვა სავაჭრო ქსელში აღმოჩენილი უხარისხო პროდუქციის შესახებაც გვიამბო:

– არანაკლებ ცნობილ და პოპულარულ მაღაზიაში აღმოვაჩინეთ ტკბილეული, რომელშიც ტყვიის რაოდენობა გადაჭარბებული იყო. ზაფხულში კი, ამავე მაღაზიაში იყიდებოდა ნამცხვრები, რომლებსაც ნავთის სუნი ასდიოდა. ამის გამო მომხმარებელმა საჩივრით მოგვმართა. ჩვენც შევამოწმეთ და ლაბორატორიულად დადასტურდა, რომ ეს პროდუქტი საკვებად უვარგისი იყო. ჩვენ ასეთი წესი გვაქვს: როდესაც რომელიმე მაღაზიაში დარღვევას აღმოვაჩენთ, 3-4 თვის შემდეგ იმავე მაღაზიაში ხელმეორედ მივდივართ შესამოწმებლად. ამ პროდუქტში ტყვიის შემცველობა ხელახალი შემოწმების დროსაც მაღალი იყო. სამწუხაროდ, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები აღნიშნულ სავაჭრო ქსელში გვიან მივიდნენ და იქ არანაირი შეუსაბამობა არ აღმოუჩენიათ. სამაგიეროდ, იმ საწარმოებში აღმოაჩინეს დარღვევები, სადაც ამ ტკბილეულს ამზადებენ.

როგორ დავიცვათ თავი უხარისხო ტკბილეულის შეძენისგან? – ამ საკითხზე „ბიზნესპრესნიუსს" სურსათის ექსპერტი, თსუ-ის პროფესორი ეთერ სარჯველაძე ესაუბრა:

– მე და ჩემი კოლეგები უკვე რამდენი წელია ამ პრობლემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ მისი მოგვარება ვერა და ვერ მოხერხდა. ჩემი აზრით, შოკოლადი არ იქნებოდა უხარისხო, მისი შენახვის პირობები სათანადოდ რომ ყოფილიყო დაცული. როგორც ჩანს, მაღაზიაში არ იყო შექმნილი საჭირო პირობები, რის გამოც შოკოლადი დაობდა და გაფუჭდა. მოქალაქეები ფხიზლად უნდა იყვნენ და არ მოერიდონ მსგავსი ფაქტების გახმაურებას – თუ მომხმარებლები ამგვარ შემთხვევებს გულგრილად არ შეხვდებიან, მაღაზიები ვეღარ გაყიდიან დაძველებულ, უხარისხო პროდუქციას და შენახვის პირობებსაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ. ყველა თავის საწარმოო რგოლზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომ უხარისხო, წუნდებული და გაფუჭებული პროდუქტი მომხმარებლამდე არ მივიდეს.

როგორ შევარჩიოთ ხარისხიანი ტკბილეული და შოკოლადი? – ამის თაობაზე ახალს ვერაფერს გეტყვით, – აცხადებს სურსათის ექსპერტი:

ეთერ სარჯველაძე:

– პირველ რიგში, ტკბილეული ისეთ მაღაზიებში უნდა შევიძინოთ, სადაც ჰიგიენური ნორმები დაცულია. სწორედ ამიტომ, ორმაგი პრობლემაა, როცა უხარისხო სურსათი პრესტიჟულ მაღაზიებში იყიდება. ნამცხვრებს შესაძლოა ვიზუალურად ეტყობოდეს, მაგრამ შეხვეულ პროდუქტს ვერ შეამოწმებ, მათ შორის, შოკოლადს, ოღონდ, როცა გახსნით და დაინახავთ, რომ შოკოლადის ფილას არაბუნებრივი ფერი აქვს ან თეთრი ფერისაა, ესე იგი, მასში დაობების პროცესია დაწყებული და მაშინვე უკან უნდა დააბრუნოთ. როდესაც მყიდველი ტკბილეულში მატლს ან პურში მწერს აღმოაჩენს, ამის გამო განგაში უნდა ატეხოს. ასეთი ფაქტები რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ და მაშინვე უნდა ვაცნობოთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, სტრატეგიული კვლევების ცენტრს ან სხვა ორგანიზაციებს. აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ ეტიკეტს და, თუ დარღვევას აღმოვაჩენთ, ეს ფაქტი უნდა გავახმაუროთ. საწარმოდან დაწყებული, მაღაზიით დამთავრებული, ყველა რგოლი პასუხისმგებელია სურსათის ხარისხზე.

მაკონტროლებელი ორგანო კი ვალდებულია, ხშირად შეამოწმოს მიმწოდებელიც და მაღაზიაც. შეუფუთავი პროდუქტის შეძენას ისევ შეფუთულის ყიდვა ჯობია, მაგრამ ის გახსნისთანავე ყურადღებით უნდა დაათვალიეროთ. მარტივი ჭეშმარიტებაა: როდესაც პრესტიჟულ მაღაზიაში მივდივართ, იქ ფასიც მეტია, ამიტომ ასეთ მაღაზიებში ნაყიდი საკვები ქუჩაში ნაყიდს არ უნდა ჰგავდეს. ამის თაობაზე მე და ჩემს კოლეგებს ადრეც ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ მსგავსი ფაქტები მაინც მეორდება. ეს დაუშვებელია, – აცხადებს ეთერ სარჯველაძე.

# გიორგი ნანეტაშვილის ოჯახისთვის ფულის გამოძალვისთვის 2 პირი დამნაშავედ ცნეს, 1 გაამართლეს



გონიოში ზღვაში დაკარგული სამხედროს ოჯახისთვის თანხის გამოძალვის მცდელობაში ბრალდებული სამი პირიდან ორი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, ერთი კი გაამართლა.

გადაწყვეტილება მოსამართლე მაია სესიაშვილმა გუშინ გამოაცხადა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებულები ვახტანგ ბოლქვაძე და გია ხიდურელი თაღლითობის მცდელობაში დამნაშავედ იქნენ ცნობილები და სასჯელის სახით ბოლქვაძეს 7 წლით და ხიდურელს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

რაც შეეხება ჯამბულ შეყილაძეს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ის წარდგენილ ბრალში გამართლდა და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

შეგახსენებთ, რომ გონიოს ზღვაში დაკარგული სამხედროს გიორგი ნანეტაშვილის ოჯახს თაღლითურად ფულს სძალავდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, ერთ-ერთი ბრალდებული, მისი სახელით, ოჯახს წერილებს უგზავნიდა და ატყობინებდა, რომ ის ცოცხალი იყო და ფინანსურ დახმარებას საჭიროებდა.

# ნათია მეზვრიშვილი: „აუცილებელია გადაიხედოს მანდატურის სამსახურის ეფექტურობა“



შს სამინისტროში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭო დახურულ კარს მიღმა დაახლოებით სამი საათის განმავლობაში მსჯელობდა. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა განუცხადა, საბჭომ განიხილა როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სამუშაო გეგმა.

მისი თქმით, პირველ ეტაპზე აუცილებელია გადაიხედოს მანდატურის სამსახურის ეფექტურობა. აღნიშნული სამსახურის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მომავალ შეხვედრაზე სხვადასხვა უწყებები თავიანთ ხედვას წარმოადგენდნენ, მათ შორის საკანონმდებლო მიმართულებითაც. ასევე საზოგადოებისა და მოზარდების უსაფრთხოების ზომების გაზრდის მიზნით მაქსიმალურად მოხდება კოორდინაცია მანდატურის სამსახურსა და საპატრულო პოლიციას შორის, ხოლო უსაფრთხოების მონიტორინგში მონაწილეობას საპატრულო პოლიცია მიიღებს.

– შევისწავლით მანდატურის სამსახურის ეფექტურობას და ვიფიქრებთ, თუ როგორ გავაძლიეროთ აღნიშნული სამსახური. აღნიშნულთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება, სადაც უწყებები საკუთარ ხედვებს წარმოადგენენ. საკანონმდებლო მიმართულებითაც ვიმუშავებთ აღნიშნულთან დაკავშირებით.

მაქსიმალური კოორდინაცია იქნება მანდატურის სამსახურსა და პოლიციას შორის. ასევე, უსაფრთხოების მონიტორინგში მონაწილეობას მიიღებს საპატრულო პოლიცია, – აღნიშნა ნათია მეზვრიშვილმა.

# ჰიპერმარკეტ „გორგიას“ დამფუძნებელ გია გორგოშაძის გატაცების მცდელობის საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა

ჰიპერმარკეტ „გორგიას“ დამფუძნებელ გია გორგოშაძის გატაცების მცდელობის საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია განიხილავს.

მოსამართლემ გუშინდელ პროცესზე როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დასაშვებად ცნო.

ამასთან, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა გარკვეული მტკიცებულებების, მათ შორის ერთ-ერთი ბრალდებულის რამაზ მენთეშაშვილის გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების ოქმის დაუშვებლად ცნობაზე.

ადვოკატების მტკიცებით, გამოკითხვის ოქმზე ბრალდებულს ყველა ფურცელზე არ აქვს ხელი მოწერილი, რაც საპროცესო ნორმების დარღვევაა.

დაცვის მხარემ ასევე იშუამდგომლა, რომ ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილიყო, თუმცა მოსამართლემ არც აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ვინაიდან ბრალდებულებისთვის წაყენებული ერთ-ერთი მუხლი ნაფიცი მსაჯულების მიერ განსჯად მუხლებში გადის, მოსამართლემ ბრალდებულებს ჰკითხა, სურდათ თუ არა, საქმე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განხილულიყო, რაზეც ბრალდებულებმა და დაცვის მხარემ უარი განაცხადეს.



# წყალტუბოში სასაფლაოზე თანაკლასელის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

წყალტუბოში არასრულწლოვნის მკვლელობაში ბრალდებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

ი. ტ-ს სასამართლო პროცესი გუშინ, 5 დეკემბერს, ქუთაისის



საქალაქო სასამართლოში გაიმართა. ბრალდებულის ინტერესებს იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს იურისტი ირაკლი შენგელია იცავდა.

ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მკვლელობის ფაქტს აღიარებს, თუმცა წაყენებულ ბრალში თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობს.

ბრალდებულს გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ჩადენილ დანაშაულს ედავება, რაც, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მკვლელობას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბრალდებულს 13 წლიდან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

შემთხვევა წყალტუბოს სოფელ ოფშკვითში 2 დეკემბერს სასაფლაოზე მოხდა. გარდაცვლილი და მკვლელობაში ბრალდებული თანაკლასელები იყვნენ. მკვლელობა კი მათ შორის ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა.

განათლების რესურსცენტრის მმართველი განმარტავს, რომ ბრალდებულს ერთი წელია, მოსწავლის სტატუსი აღარ აქვს.

# „ნადია პაპუკიშვილი ცემით მოუკლავთ, ნაწვალები იყოო“ – მოკლულის ნათესავი დეტალებს ყვება






სოფელ კარალეთში 70 წლის ნადია პაპუკიშვილის სასტიკ მკვლელობას სოფელში ძარცვას უკავშირებენ. მოკლულის ნათესავებისთვის კი გაუგებარია მკვლელობის აღნიშნული მოტივი, რადგან ფიქრობენ, რომ გარდაცვლილს ფული არ ექნებოდა.

– ცემით მოუკლავთ, ნაწვალები იყოო. დანით არ არის მოკლული. 4 შვილი ჰყავს, მაგრამ სახლში მარტო იყო. ბიჭი რუსეთში ცხოვრობს. ამ ზაფხულს აქ იყო, სახლები გააკეთა, წავიდა და მარტო დატოვა დედა. რა უნდოდათ, ფული თუ უნდოდათ, ამას რის ფული ექნებოდა, პენსიონერ ქალს ფული საიდან უნდა ჰქონოდა? – აცხადებს მოკლულის ნათესავი თამაზ პაპუკიშვილი „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

გორის რაიონში სასტიკი მკვლელობა 3 დეკემბერს, გვიან ღამით მოხდა. პაპუკიშვილი სახლში მარტო ცხოვრობდა. ის დილას ახლობლებმა გარდაცვლილი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# დედის ცემისთვის ოზურგეთში მ.ა. დააკავეს



შსს-მ ოჯახური ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული მ.ა., ოჯახში ძალადობის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, ოჯახის არასრულწლოვანი წევრის თანდასწრებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დედას – 1951 წელს დაბადებულ ლ.ჭ.-ს, რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა.

ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა საკუთარ დედას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა წარსულშიც რამდენჯერმე მიაყენა.

დაკავებული ჩადენილს აღიარებს.

გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობისა და სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით)“.

# ერთი კვირის განმავლობაში საგადასახადო სამართალდარღვევის 913 ფაქტი გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის 913 ფაქტი გამოვლინდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 27 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 913 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3.702 გადამხდელი, რის



შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 106 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 76 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 731 შემთხვევა.

# ავარია ახმეტაში – 2 ადამიანი დაშავდა




ახმეტაში მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოგირს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

# ჯონ ჰანტსმანი: „რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებში ნდობის ხარისხი დღითიდღე კლებულობს!“



რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები იძაბება. ექსპერტები მეორე ცივ ომზე ლაპარაკობენ. ეს უკვე ბევრს აშფოთებს, რაც ნათლად აისახა აშშ-ის ელჩის ჯონ ჰანტსმანის ინტერვიუში, რომელიც მან რუსულ გამოცემა „ვედომოსტის“ მისცა.

ჰანტსმანმა განაცხადა, რომ კრემლის რიგი მოქმედება ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ზრდას ხელს უწყობს. კორესპონდენტის შეკითხვაზე, კონკრეტულად რას გულისხმობთო, ჰანტსმანმა მიუგო: რუსეთის ჩარევა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, ომები სირიასა და უკრაინაში. ჟურნალისტის შეკითხვაზე, გჯერათ თუ არა, რომ რუსეთი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერია, ჰანტსმანმა უპასუხა, რომ გამოძიება ჯერ არ დასრულებულა, თუმცა უკვე გამომზეურდა რიგი ფაქტი, რაც ფრიად არასასურველი ეჭვის საფუძველს იძლევა.

სირიაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზისას ჰანტსმანმა ხაზი ორ მომენტს გაუსვა. პირველი არის მხარდაჭერა დიქტატორ ასადის, რომელმაც ქვეყანაში ნამდვილი სასაკლაო გააჩაღა. მეორე – ირანთან ერთად „შიიტური რკალის“ შექმნის მცდელობაა, რაც მთელი რეგიონის დესტაბილიზაციას ნიშნავს.

აშშ-ის ელჩი უკრაინაში შექმნილ მდგომარეობაზეც დაწვრილებით შეჩერდა. მან აღნიშნა, რომ დონბასში პროგრესი არ შეინიშნება და ამაზე მთელი პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს ეკისრება. მოსკოვის ძირითადი მიზანი არა მშვიდობის აღდგენა, არამედ დონბასის თუნდაც ნაწილში სეპარატისტული ხელისუფლების შენარჩუნებაა. ამან დიდად განაპირობა კრემლის პოზიცია დონბასში გაერო-ს სამშვიდობო ჯარების ჩაყენების საკითხში. მოსკოვი კატეგორიული წინააღმდეგია სამშვიდობოების დონბასის მთელს ტერიტორიაზე განლაგებისა და მხოლოდ გამყოფ ხაზზე მათ განთავსებას მოითხოვს.

– ამით უკრაინელებისგან სეპარატისტების დაცვა მოხდება, რაც დაუშვებელია, – თქვა ჰანტსმანმა.

აშშ-ის ელჩმა სურკოვ-ვოლკერის მოლაპარაკებების ჩაშლა სწორედ ამით ახსნა.

მან განაცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების მოგვარების ძირითადი ხაზი უკრაინაზე გადის.

– თუკი მოსკოვი ხელს შეუწყობს დონეცკ-ლუგანსკის ოლქების ნაწილებში საომარი მოქმედებების შეწყვეტას და იქ უკრაინის იურისდიქციის აღდგენას, ამით რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყება, – განაცხადა ჰანტსმანმა.

ამავე დროს, ელჩმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის პოლიტიკაში ცვლილება არ შეინიშნება. ოფიციალური ვაშინგტონი, კერძოდ, პრეზიდენტი ტრამპი, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციით დაინტერესებულია, მაგრამ რუსეთის პოლიტიკა ამის საშუალებას არ იძლევა.

# ჟირინოვსკი: „მესამე მსოფლიო ომი კარსაა მომდგარი“



ვლადიმერ ჟირინოვსკიმ საზოგადოება კვლავ გააოცა. მან განაცხადა, რომ მესამე მსოფლიო ომი კარსაა მომდგარი და ამისი შეჩერება უკვე აღარავის შეუძლია.

– დასავლეთს რომ ჩვენთვის უკრაინაში რაიმე დაეთმო და ეს ქვეყანა გაგვეყო, მესამე მსოფლიო ომი შეჩერდებოდა! ამერიკელებმა მეტისმეტად ბევრი მოინდომეს! მათ სურთ ნატოს ბაზები ჩვენ ცხვირწინ, ანუ უკრაინაში განალაგონ. ჰოდა, ბარაქიან რუსულ პანღურს მიიღებენ! – თქვა ვლადიმერ ვოლფოვიჩმა.

ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ უკვე გამოიკვეთა ქვეყნები, რომლებიც რუსეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი. ესენი, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთი და ბალტიისპირელები არიან, რომლებმაც თავიანთ ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა განალაგეს.

– ეს მათ ვერ დაიცავს. ეს ქვეყნები აღიგვებიან პირისაგან მიწისა, – დაიმუქრა ვლადიმერ ვოლფოვიჩი.

რუსი ლიბერალ-დემოკრატების ლიდერმა სხვებიც არ დაივიწყა.

მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკის სათავეში აშკარა რუსოფობიული პროამერიკული ძალები მოვიდნენ. შესაბამისად, ეს რესპუბლიკები რუსის ჯარის მიერ უნდა ოკუპირებულ იქნან. ამის შემდეგ მათ ტერიტორიას რუსეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა გადაინაწილებენ.

– ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება უკრაინას, რომელიც ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფოა! მის ტერიტორიას რუსეთი, პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი გადაინაწილებენ. იგივე შემიძლია ვთქვა საქართველოზეც, რომელსაც რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი გაიყოფენ, – ტრაკიმასხარამ ეს ჩვეული რიხით გამოაცხადა.

# ტრამპმა იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გადატანა გადადო



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გადატანა გადადო.

– ამის გაკეთება ნაადრევია! – თქვა პრეზიდენტმა.

ტრამპმა აღნიშნა, რომ გადადება განზრახვაზე უარის თქმას არ ნიშნავს.

– იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გადატანა სერიოზული გადაწყვეტილებაა და ამას საგანგებო შესწავლა სჭირდება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

# ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი: „ნორმანდიული ფორმატი უნდა გაფართოვდეს“



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ განაცხადა, რომ მინსკის სამშვიდობო პროცესი ჩიხში შევიდა. საომარი მოქმედებები არ წყდება. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები განახლდეს.

ვაშჩიკოვსკის აზრით, ნორმანდიული ფორმატი უნდა გაფართოვდეს.

– აუცილებელია, რომ მოლაპარაკებებში ჩაერთონ სხვა ქვეყნებიც, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, – განაცხადა მან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# მოკლეს იემენის ყოფილი პრეზიდენტი

მოკლეს იემენის ყოფილი პრეზიდენტი ალი აბდალაჰ სალეჰი. ის ჰუსიტი-მეამბოხეების, აგრეთვე თავისივე ყოფილი თანამებრძოლების მსხვერპლი შეიქმნა.

სალეჰს თავში ესროლეს.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ანასტასია გოტფრიდი მსოფლიოს ჩემპიონია




ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ანაჰაიმში მიმდინარე ძალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე ანასტასია გოტფრიდმა (90 კგ) 3 მედალი აიღო, ორჭიდის ჯამში პირველი ადგილი დაიკავა და პირველი ქართველი ძალოსანი ქალია ისტორიაში, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა.

მიმდინარე ტურნირზე საქართველოს ნაკრების ერთადერთმა ქალმა საქმე პირველსავე დისციპლინაში წინ წაიგდო. ანასტასიამ გამოსვლა მაშინ დაიწყო, როდესაც სხვებს უკვე დამთავრებული ჰქონდათ. დამინიკელმა კრისმერ სანტანამ ატაცი 113 კილოგრამით დაასრულა, ხოლო ჩვენებური 116-კილოგრამიან შტანგასთან მივიდა პირველად და უპრობლემოდ დასძლია. მართალია, 120- კილოგრამიანი შტანგა პირველ ცდაზე ვერ დაძლია (უფრო სწორად, მსაჯებმა არ ჩაუთვალეს), მაგრამ მეორე მისვლაზე დაიმორჩილა.

21 წლის გოტფრიდი 7-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდა მე-2 დისციპლინას – აკვრას. აქ ქართველმა ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო – 135, 140 და 145- კილოგრამიანი შტანგები კი დაიმორჩილა, მაგრამ ჩილელმა მარია ვალდესმა 146 კილო აკრა და მცირე ოქრო ირგუნა, ხოლო ჯამში მე-2 ადგილზე გავიდა.

გოტფრიდმა ორჭიდში 265 კილოგრამი დააფიქსირა და 10 კილოგრამის აჯობა მე-2 ადგილზე გასულ ვალდესს, ხოლო სანტანა იყო 254 კილოგრამით მე-3 იყო.

საქართველოს ნაკრების ანგარიშზე ამ ეტაპზე 4 მედალია: შოთიკო მიშველიძის ორჭიდის ბრინჯაო, ანასტასიას 2 ოქრო და 1 ვერცხლის მედალი.

# ფიბას რეიტინგში დავწინაურდით, ზუროსი პროგრესს გვპირდება




ფიბამ ეროვნული ნაკრებებისთვის ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელიც მსოფლიოს 2019 წლის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი სათამაშო ფანჯრის შედეგებით არის გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას ზუროსის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები სერბეთთან და გერმანიასთან დამარცხდა, რეიტინგში 1 საფეხურით დაწინაურდა და სადღეისოდ რეიტინგში 27-ე ადგილი უკავია. წინა რეიტინგში საქართველოს ნაკრები, შესაბამისად, 28-ე ადგილზე იმყოფებოდა.

ეს მსოფლიოში, ხოლო ევროპის კონტინენტზე საქართველოს მე-16 საფეხური უკავია.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის განვლილი 2 მატჩი შეაჯამა და მომდევნო შეხვედრებზეც ისაუბრა.

**ილიას ზუროსი:**

– გერმანიასთან და სერბეთთან ნაკრებს რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი აკლდა. ტრავმების გამო არ იყვნენ გიორგი ცინცაძე, ბექა ბურჯანაძე და დუდა სანაძე, ხოლო ფიბასა და ევროლიგას შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინიც ვერ დაგვეხმარნენ. ამის ფონზე, ვფიქრობ, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა.

გერმანიასთან წაგების რამდენიმე მიზეზი არსებობს, მათ შორის გადაღლილობა და ტაქტიკური შეცდომები დაცვაში. ბევრ კალათბურთელს დებიუტი ჰქონდა ეროვნულ გუნდში. მე მათი ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. თებერვალში 2 პრინციპული მატჩი გველოდება, ჯერ ავსტრიასთან სტუმრად, ხოლო შემდეგ საშინაო დაპირისპირება გერმანიასთან. მთავარია, კალათბურთელებმა პროგრესირება განაგრძონ და დაშვებული შეცდომები სწორად გავაანალიზოთ.

შეგახსენებთ, რომ ილიას ზუროსის გუნდი 23 თებერვალს ავსტრიას სტუმრად შეხვდება, ხოლო 25 თებერვალს გერმანიას უმასპინძლებს.

## შედეგები

**4 დეკემბერი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ვულვზი ..................... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხირონა-ალავესი ........................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 11 | 3 | 0 | 36-7 | 36 |
| 2.ვალენსია | 14 | 9 | 4 | 1 | 33-13 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 14 | 8 | 6 | 0 | 23-7 | 30 |
| 4.რეალი | 14 | 8 | 4 | 2 | 25-11 | 28 |
| 5.სევილია | 14 | 9 | 1 | 4 | 19-14 | 28 |
| 6.ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 22-18 | 21 |
| 7.ლეგანესი | 14 | 6 | 2 | 6 | 12-13 | 20 |
| 8.ხეტაფე | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 9.სოსიედადი | 14 | 5 | 4 | 5 | 28-26 | 19 |
| 10.სელტა | 14 | 5 | 3 | 6 | 26-21 | 18 |
| 11.ბეტისი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-28 | 18 |
| 12.ხირონა | 14 | 4 | 5 | 5 | 18-22 | 17 |
| 13.ეიბარი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-27 | 17 |
| 14.ლევანტე | 14 | 3 | 7 | 4 | 14-20 | 16 |
| 15.ესპანიოლი | 14 | 4 | 4 | 6 | 11-18 | 16 |
| 16.ბილბაო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-18 | 14 |
| 17.დეპორტივო | 14 | 3 | 3 | 8 | 17-27 | 12 |
| 18.ლას პალმასი | 14 | 3 | 1 | 10 | 11-32 | 10 |
| 19.ალავესი | 14 | 3 | 0 | 11 | 10-24 | 9 |
| 20.მალაგა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-28 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-ბრაუნშვაიგი .......... 0:2

**იტალია. სერია ა**

კროტონე-უდინეზე ........................ 0:3

ვერონა-ჯენოა .............................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 3 | 0 | 33-10 | 39 |
| 2.ნაპოლი | 15 | 12 | 2 | 1 | 35-10 | 38 |
| 3.იუვენტუსი | 15 | 12 | 1 | 2 | 41-14 | 37 |
| 4.რომა | 14 | 11 | 1 | 2 | 27-10 | 34 |
| 5.ლაციო | 14 | 10 | 2 | 2 | 35-16 | 32 |
| 6.სამპდორია | 14 | 8 | 2 | 4 | 28-20 | 26 |
| 7.ფიორენტინა | 15 | 6 | 3 | 6 | 26-19 | 21 |
| 8.მილანი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-20 | 21 |
| 9.ბოლონია | 15 | 6 | 3 | 6 | 18-18 | 21 |
| 10.ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 21-19 | 20 |
| 11.ტორინო | 15 | 4 | 8 | 3 | 19-21 | 20 |
| 12.კიევო | 15 | 5 | 5 | 5 | 17-26 | 20 |
| 13.კალიარი | 15 | 5 | 1 | 9 | 14-25 | 16 |
| 14.უდინეზე | 14 | 5 | 0 | 9 | 21-24 | 15 |
| 15.ჯენოა | 15 | 3 | 4 | 8 | 13-20 | 13 |
| 16.კროტონე | 15 | 3 | 3 | 9 | 11-30 | 12 |
| 17.სასუოლო | 15 | 3 | 2 | 10 | 8-27 | 11 |
| 18.სპალი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-26 | 10 |
| 19.ვერონა | 15 | 2 | 3 | 10 | 12-30 | 9 |
| 20.ბენევენტო | 15 | 0 | 1 | 14 | 8-36 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ასკოლი ............................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-პორტიმორენშე .......... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პლატანიასი-ატრომიტოსი ............ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ქაისერი ............................ 1:2

ტრაბზონი-ანტალია ..................... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-კორონა ........................ 2:2

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოდენსე ................ 3:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ლოკომოტივმა აიას პირველი მარცხი აგემა

**ლოკომოტივი-აია 26:23**




თბილისის ლოკომოტივი გახდა პირველი გუნდი, რომელმაც დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში ქუთაისის აიას დამარცხება მოახერხა – 26:23. ეს მე-2 წრის პირველ ტურში მოხდა.

რკინიგზელებმა განსაკუთრებით კარგად შეხვედრის პირველი ტაიმი ჩაატარეს და 19:10 დაწინაურდნენ. მეორე ნახევარი აიასი იყო, რომელსაც სულ ბოლოს გადამწყვეტი ლელოს გატანა და წარმატებული სერიის გაგრძელება შეეძლო, მაგრამ გიორგი შკინინმა მირიან მოდებაძეს ამის საშუალება არ მისცა.

მასპინძლები აქცენტს ძალისმიერ თამაშზე აკეთებდნენ და ამან შედეგი დებიუტშივე გამოიღო. ჯერ რაქიდან დავით ხიდეშელმა შეუტია და მისი ლელო ვახტანგ კავთიძემ გარდასახა. საწყის 20 წუთში ლოკომოტივმა კიდევ ორჯერ სცადა იგივეს გამეორება, მაგრამ აიამ თავის დაცვა მოახერხა, ხოლო კავთიძეს შორიდან ჯარიმა გაუცუდდა.

აია თავის შანსს ელოდა და ეს შანსი ტაიმის შუაში მიიღო. მათ ხელდახელ თავისი ნახევრიდან შეუტიეს, შედეგად მარცხენა ფლანგზე უპირატესობა გაჩნდა, ჟორჟ სალდაძემ რაქიდან მოულოდნელად შეუტია და მისი ლელოს შემდეგ გიორგი ბაბუნაშვილმა წონასწორობა აღადგინა.

შემდეგ ლოკომოტივმა მეტოქე შერკინებაში ზედიზედ სამჯერ დააჯარიმა და პირველზე ბურთი ჩამოართვა, ხოლო მესამეზე ნიკა ამაშუკელმა საჯარიმო ლელო დააფიქსირა და მასპინძლებმა ეპიზოდი 7 ქულით დაასრულეს.

ბაბუნაშვილმა კარის წინიდან იოლი 3 ქულა აიღო, თუმცა ტაიმის ბოლოს რკინიგზელთა მორკინალების რამდენიმე დარტყმის შემდეგ, 3 პასით ბურთი მარცხენა ფლანგზე ჩათამაშდა და შკინინს ბურთის დამიწებაში ხელი ვერავინ შეუშალა.

ტაიმი 19:10 დასრულდა და ზედ შესვენების წინ სტუმრებმა 10 წუთით გიორგი ტორაძეც დაკარგა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, ქუთაისელებმა მეორე ტაიმის 10 წუთი ძალიან კარგად ჩაატარეს, ბაბუნაშვილმა ჯარიმა გაიტანა და აია ლელოსთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა ლოკომოტივმა თავი დაიცვა. 52-ე წუთზე ფარნა გასვიანმა გაიბრწყინა, 10-მეტრიან წყვეტილთან ხაზი გაჭრა, სისწრაფე აკრიფა და ლელომდე ვეღარავინ შეაჩერა. გარდასახვა წიკლაურმა შეასრულა – 26:13.

აიამ ლამაზი ეპიზოდით უპასუხა, მირიან მოდებაძემ სიჩქარე აკრიფა და მარჯვენა ფლანგზე ლაშა ლომიძე მოძებნა, რომელმაც ბურთის დამიწება აკრობატულ ნახტომში სცადა. ვიდეო რეფერიმ დააფიქსირა, რომ მანამდე მისი ფეხი წიკლაურის ბოჭვის შედეგად გვერდით ხაზს შეეხო. სტუმრებმა მალევე დაიბრუნეს ბურთი, სწრაფი ბურთაობით კიდევ ერთხელ შექმნეს სივრცე და ზურაბ ძნელაძემ ხაზი გაჭრა. ბაბუნაშვილმა გარდასახვის შემდეგ 68-ე წუთზე ჯარიმაც გაიტანა და სხვაობა 3 ქულამდე დავიდა – 26:23.

დასკვნით წუთებში აიას ლელოს გატანა კიდევ ორჯერ შეეძლო. პირველ შემთხვევაში მარჯვენა ფლანგზე ისევ ლომიძე გაიქცა, მაგრამ წიკლაურთან კონტაქტის შემდეგ მოედანში ისევ ვერ დარჩა. სულ ბოლოს მოდებაძემ თავის 22-თან ჩაჭრა გადაცემა და სიჩქარე აკრიფა, მაგრამ შკინინი მასზე სწრაფი აღმოჩნდა, ჩამორჩენა დაფარა და შესანიშნავი ბოჭვით ლოკომოტივს გამარჯვება შეუნარჩუნა.

მიუხედავად მარცხისა, აია სატურნირო ცხრილის თავში რჩება და მომდევნო შეხვედრას უკვე 2018 წელს გამართავს. ლოკომოტივმა ლიდერთან ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა და ახალ წლამდე ბათუმთან გამოტოვებულ მატჩს გამართავს.

**ლელო სარასენსი-ბაგრატი 33:5**

თბილისის ლელო-სარასენსმა კი ქუთაისის მეორე გუნდი, ბაგრატი, დასკვნით 15 წუთში გატეხა, 3 ლელო გაუტანა და დაგეგმილი ბონუსით, 33:5 დაამარცხა.

ლევან მაისაშვილმა მეორე წრის პირველ და წლის დასკვნით მატჩში აუტსაიდერ მეტოქესთან გუნდის ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა და შემადგენლობა ახალგაზრდებით დააკომპლექტა. მიუხედავად ამისა, ლელო სარასენსმა თამაში სასურველ რითმში დაიწყო, ჯარიმა კარში არ დაარტყა, დერეფნიდან 10-მეტრიანი მოლი ააგორა და ზურაბ ხორბალაძემ ლელო გაიტანა. 5 წუთში თბილისელებმა ხელდახელ შეუტიეს, რატი შანიძემ ხაზი გაჭრა და თამაში ააჩქარა, მას ჯაბა სიხარულიძე მიყვა და შემდეგ ლელოში ალექსანდრე ხეცოიძე შევიდა. თენგო პერანიძემ მეორე გარდასახვა გამოიყენა – 12:0.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ მასპინძლებმა შეცდომებს მოუხშირეს და მომდევნო 55 წუთის განმავლობაში ქულა ვერ აიღეს. თამაშის ტემპი და ხარისხი მკვეთრად დავარდა და 34-ე წუთზე ბაგრატმა თბილისელთა შეცდომით ისარგებლა, თავისი ნახევრიდან კონტრშეტევა წამოიწყო და ის ლევან ჩიქოვანის ლელოთი დასრულდა. ზვიად ოდიშარიას გარდასახვა და მეორე ტაიმში ჯარიმა გაუცუდდა.

ლელო სარასენსმა თავის იარაღს, მოლს მიმართა და ჩიქოვანი მისი ჩაქცევისთვის სინბინით დაისაჯა, ხოლო ერთ წუთში მოლი ლელოთი შეცვლაზე შესულმა ნიკა სვიმონიშვილმა დაასრულა. ორიოდე წუთში თბილისელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, შეცვლაზე შესულმა ოთარ ბარკალაიამ ბურთი კარგად გაანაწილა და თორნიკე ახობაძეზე მაღალი ბოჭვის გამო მურმან საკანდელიძე სინბინში გაუშვეს.

13-მა სტუმარმა მოლის შეჩერება ვერ მოახერხა, რაქიდან სვიმონიშვილმა შეუტია და დუბლი გაიფორმა. ამით ლელო სარასენსმა პრემია გაიფორმა, თუმცა საფინალო სასტვენამდე ხელდახელ კიდევ ერთხელ შეუტია და ცისკარა ბერიაშვილმა ლამაზი ლელო გაიტანა. პერანიძემ ბოლო 3 გარდასახვა ზუსტად შეასრულა, ლელო სარასენსმა 33:5 მოგებით ბონუსიც ჩაიწერა, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დაბრუნდა და ახლა ლიდერ აიას 2 ქულით ჩამორჩება. ბაგრატს 5 ქულა დარჩა და ბოლო ადგილზეა.

**ჯიქი-ხარები 10:10**

დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში გამართულ 50-ე მატჩში მეორე ფრე დაფიქსირდა. გორში ჯიქი რუსთავის ხარებს ორჯერ უგებდა, სტუმრებმა წონასწორობა ორივეჯერ აღადგინეს, მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა და შეხვედრა 10:10 დასრულდა.

**ბათუმი-არმაზი 26:19**

ბათუმმა რიცხობრივი უპირატესობა 19 ქულაში ასახა, არმაზს 26:19 სძლია და დიდი 10-ის მე-10 ტურის პირველ მატჩში ბონუსით იმარჯვა.

სტუმრები სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. რევაზ ჯინჭველაშვილმა მარნეულელებს 4 ჯარიმით, ლელოთი და გარდასახვით 19-ვე ქულა შესძინა.

მასპინძლებმა 5 სატურნირო ქულა (ლელოებით 4:1) მოიპოვეს. ახლა ისინი იტალიაში გაემგზავრებიან, სადაც ევროპული რაგბის კონტინენტის ფარის მე-3 ტურში ვიადანას შეხვდებიან, ხოლო 16 დეკემბერს დასკვნით ტურში რუმინეთის ჩემპიონ ტიმიშოარა-სარასენსს მიიღებენ.

**აკადემია-არმია 28:9**

თბილისის აკადემიამ ზედიზედ 3 თამაში მოიგო, აქედან ორი ბონუსით და დიდი შესვენების წინ ექვსეულს 3 ქულამდე მიუახლოვდა.

# პატარა ბორჯღალოსნების მეტოქეები ცნობილია




მსოფლიო რაგბის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს საფრანგეთი უმასპინძლებს. თამაშები ფრანგულ სარაგბო ქალაქებში ბეზიეში, პერპინიანსა და ნარბონში გაიმართება.

გარკვეულია ისიც, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები გ ჯგუფში სამხრეთ აფრიკასთან, მასპინძელ საფრანგეთთან და ირლანდიასთან ითამაშებენ. ა ჯგუფში ახალი ზელანდია, ავსტრალია, უელსი და იაპონია მოხვდნენ, ხოლო ბ ჯგუფში ინგლისი, შოტლანდია, იტალია და არგენტინა არიან განაწილებული.

**ბიგ ბომონტი, მსოფლიო რაგბის თავმჯდომარე:**

– საქართველოში გამართული წარმატებული ჩემპიონატის შემდეგ, რომელმაც სოციალური მედიის ყველა რეკორდი მოხსნა, საფრანგეთში მივემგზავრებით. საინტერესოა, ვინ მოხვდება ამ ტურნირიდან 2019 წლის მსოფლიო თასზე.

**ბერნარდ ლაპორტი, საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

– 20-წლამდელთა ჩემპიონატი საერთაშორისო რაგბის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს და ამაყი ვარ, რადგან მას საფრანგეთი უმასპინძლებს. ეს ტურნირი ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების აღმოჩენას ემსახურება. ვეცდებით ის უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ, ისევე, როგორც 2023 წლის მსოფლიო თასი, რომელსაც ასევე საფრანგეთი უმასპინძლებს.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 30 მაისს, 3 და 7 ივნისს გაიმართება, 12 ივნისს – ნახევარფინალები, ხოლო 17 ივნისს ფინალური მატჩებია დანიშნული.

# ბარსამ გრემიოს ბოდიში მოუხადა



ბარსელონის სპორტულმა დირექტორმა, რობერტ ფერნანდესმა, ბრაზილიური გრემიოს სპორტულ დირექტორ ანდრე ზანოტის ბოდიში მოუხადა. ამის მიზეზი კატალონიური კლუბის მიერ გრემიოს ფეხბურთელ არტურისთვის მაისურის ჩუქებაა.

რამდენიმე დღის წინ ბარსელონის წარმომადგენლებმა 21 წლის ფეხბურთელს, რომელსაც კატალონიური კლუბი იწვევს, მაისური აჩუქეს. ამის შემდეგ არტურმა ბარსელონის ფორმით გადაღებული ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, რასაც გრემიოს მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

**ანდრე ზანოტი:**

– რობერტ ფერნანდესმა დამირეკა და ბოდიში მომიხადა. მე კი მისი ბოდიში გრემიოს პრეზიდენტს გადავეცი. ჩვენი აზრით, არ შეიძლება, შენი კლუბის მაისური აჩუქო ფეხბურთელს, რომელსაც სხვა კლუბთან კონტრაქტი 2021 წლამდე აკავშირებს.

აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, გრემიო ბარსელონის წინააღმდეგ საჩივრის ფიფაში შეტანას აპირებდა, მაგრამ ამ ეტაპზე გადაიფიქრა.

თავად არტური კი ადასტურებს, რომ მან ბარსელონასთან მოლაპარაკებები აწარმოა, მაგრამ ასევე აცხადებს, რომ კატალონიურ კლუბთან კონტრაქტზე ხელი არ მოუწერია.

– ბარსელონასთან დაკავშირებით საუბარი მქონდა. კლუბის წარმომადგენლებს შევხვდი, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია და კვლავ გრემიოს ფეხბურთელი ვარ. ეს მხოლოდ პირველი, გაცნობითი ხასიათის კონტაქტი იყო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მანჩესტერ სიტიმ მესის წლიური ხელფასის სახით 50 მილიონი შესთავაზა



მანჩესტერ სიტიმ ლიონელ მესის ზღაპრული წინადადება გაუკეთა, რომლის მიხედვითაც, არგენტინელი ფეხბურთელის წლიური ხელფასი წელიწადში 50 მილიონი ევრო იქნებოდა, მაგრამ მესიმ ამ წინადადებაზე უარი თქვა და ბარსელონაში დარჩენა ამჯობინა.

მანჩესტერ სიტი მზად იყო, მესის ტრანსფერში 400 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ ვერც ამ თანხამ იქონია გავლენა ლიონელის გადაწყვეტილებაზე.

მესიმ განაცხადა, რომ, შესაძლოა, მან კარიერა ბარსელონაში დაასრულოს და სხვა კლუბში არასოდეს გადავა.

# ლუკას მოურა კარიერას ჩინეთში გააგრძელებს



პსჟ-ს ბრაზილიელი ფეხბურთელი ლუკას მოურა კარიერას, სავარაუდოდ, ჩინეთში გააგრძელებს.

ბოლო პერიოდში მოურა იშვიათად ხვდება პსჟ-ს ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მას ამ გუნდის დატოვება სურს. გარდა ამისა, ბრაზილიელ ფეხბურთელს ჩინეთში მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებიან, ბრაზილიელი ფეხბურთელების სიყვარული ფულის მიმართ კი ყველასთვის ცნობილია.

ლუკას მოურა პსჟ-ში უკვე დიდი ხნის განმავლობაში თამაშობს და აქამდე ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ნეიმარისა და მბაპეს მოსვლამ ყველაფერი შეცვალა.

# რობენი: „რეალიდან წასვლა არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვეს“



იუნხენის ბაიერნის ჰოლანდიელმა შემტევმა არიენ რობენმა ის დრო გაიხსენა, როდესაც მან მადრიდის რეალი დატოვა.

რობენის თქმით, მისთვის რთული იყო რეალიდან წასვლა, რადგან იმ პერიოდში ბაიერნი არ იყო წარმატებული.

– რეალიდან წასვლა არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვეს. საბოლოოდ ბაიერნში გადასვლა ჩემთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და მიხარია, რომ ეს ტრანსფერი შედგა. ბაიერნში დღესაც ძალიან ბედნიერი ვარ, – განაცხადა არიენ რობენმა.

რობენი მიუნხენის ბაიერნის ღირსებას 2009 წლიდან იცავს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ედენ აზარს რეალში გადასვლა სურს



ლონდონის ჩელსის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი რეალში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აზარი რეალში 2019 წელს გადავა და რეალი მის ტრანსფერში საკმაოდ სოლიდურ თანხას გადაიხდის. აზარმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეალის თამაშის სტილი მასთან ახლოს არის და ამ გუნდში თამაში მისთვის სასიამოვნო იქნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ აზარის თამაში მას ძალიან მოსწონს და ამ ფეხბურთელს თავის კლუბში დიდი სიამოვნებით იხილავდა.



# გიორგი სიხარულიძეს საპატიო ქუთაისელის წოდება მიენიჭა



რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს საპატიო ქუთაისელის წოდება მიენიჭა.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი სიხარულიძის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ქუთაისის მერმა გიორგი სიხარულიძეს ქუთაისში 11-წლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის საპატიო ქუთაისელის წოდება მიანიჭა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ინიციატივით კი გიორგი სიხარულიძეს დავით კლდიაშვილის მედალი გადაეცა დავით და სერგო კლდიაშვილების შემოქმედების პოპულარიზაციისთვის. ეს მედალი 90-იან წლებში მიღებული აქვთ მიხეილ თუმანიშვილს, ელდარ შენგელაიას, გოგი გეგეჭკორს, რამაზ ჩხიკვაძეს. 2017 წელს კი ეს ჯილდო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს გადაეცა დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციაში განსაკუთრებული წვლილისთვის.

გიორგი სიხარულიძის ქუთაისში მოღვაწეობის 10-წლიან პერიოდში მესხიშვილის თეატრში მოეწყო მცირე სცენა, ლიტერატურული სალონი, დასს შეემატა 12 ახალგაზრდა მსახიობი, დაიდგა 47 სპექტაკლი, მოეწყო არაერთი ბენეფისი და იუბილე. გიორგი სიხარულიძის სამხატვრო ხელმძღვანელობის დროს ქუთაისის თეატრში სპექტაკლი დადგა 18-მა მიწვეულმა რეჟისორმა. თეატრის ბიუჯეტი 250 ათასი ლარიდან 1 მლნ 55 ათას ლარამდე გაიზარდა.

გიორგი სიხარულიძის რეჟისურითა და ხელმძღვანელობით გაკეთდა ქუთაისის მთავარი დღესასწაულის „გვირილობის“ ახალი და მასშტაბური ფორმატი, რომელიც დღემდე ქალაქის სავიზიტო ბარათია.

გიორგი სიხარულიძე 2017 წლიდან მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. მან ამ თანამდებობაზე რეჟისორი ქეთი დოლიძე შეცვალა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ეკა ხოფერიამ დაგეგმილი პრეზენტაცია გააუქმა



ჟურნალისტმა ეკა ხოფერიამ ხორავას ქუჩაზე მოკლული ორი მოზარდის ტრაგედიასთან დაკავშირებით დაგეგმილი პრეზენტაცია გააუქმა. ინფორმაცია ტელეწამყვანმა თავად გაავრცელა:

– ჩვენ ყველა შეძრულები ვართ ტრაგედიით, რომელმაც ორი ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე შეიწირა და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახებს, ახლობლებსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც განადგურებული არიან ამ საშინელი ამბით. გიო ხუციშვილის, მისი ბენდის, ჩემი გუნდის, ჩვენი პარტნიორების „რესპუბლიკასა“ და „ალიანს ჰაილაინის“ გადაწყვეტილებით, პრეზენტაცია და კონცერტი გადაიდო. გადაიდო ჩემი პირველი ონლაინგადაცემაც. ახალ თარიღს კი აუცილებლად შეგატყობინებთ.

# ასტროპროგნოზი

## 6 დეკემბერი



**ვერძი** – ახლობლების მიმართ აგრესიას ნუ გამოავლენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. ნებისმიერი საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. **ტყუპები** – ძალა დაზოგეთ. ერთდროულად ბევრი საქმის კეთება არ ღირს. ზედმეტი ემოციურობა ავტორიტეტს შეგიბღალავთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრები, მოგზაურობა, მივლინებები თამამად დაგეგმეთ. დღეს გიმართლებთ. **ლომი** – აღელვებული და აფორიაქებული ხართ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. კომერციული გარიგებები დღეს არ დაგეგმოთ. **სასწორი** – საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ღრიანკალი** – გადააფასეთ ფასეულობები. სულიერი სრულყოფისათვის, შესაძლოა, დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი მოგზაურობა გაგახარებთ. ბედი გწყალობთ. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობაც. **თხის რქა** – ახლობელ ადამიანს კამათში ნუ აჰყვებით. გაუფრთხილდით ნერვებს. **მერწყული** – ექსპერიმენტებისა და ახალი ინფორმაციის მისაღებად იღბლიანი დღეა. კოლეგებთან მწვავე თემებს ნუ განიხილავთ. **თევზები** – გარშემომყოფებისაგან აგრესიას გრძნობთ. დღის მეორე ნახევარში ვნებები ჩაცხრება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრანგი დრამატურგი „სევილიელი დალაქის“ ავტორი; 2. უსქესო, ვეგეტატიური გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 4. თვითმფრინავების სადგომი; 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 6. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. საგნების, მოვლენების ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება; 17. საგანგებოდ გამოყვანილი, შებოლილი ღორის ხორცი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად**: 7. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. ბელგიური ავიაკომპანია; 10. კორიდის ცხენიანი მონაწილე; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი, სამაშველო საქმისთვის განკუთვნილი, დიდი ტანის ძაღლი; 14. მწვავე სუნის მქონე, მძაფრი აირი, ნიშადურის სპირტი; 16. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების მონაცემთა სისტემური კრებული; 20. სუნამოების მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 22. მოკლებეწვიანი მონადირის ძაღლის ჯიში; 23. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლაქტოზა; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. ტუნგი; 5. გოზინაყი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. დოსიე; 20. ოქრო.

**თარაზულად:** 6. საფერავი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. ტუნგი; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ნიკორა; 19. მონოციკლი; 21. ქუთაისი; 22. ბუდაპეშტი; 23. როლექსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვაფლი; 2. სააბი; 3. ვიადუკი; 4. ბობი; 5. რომი; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიაკი; 11. ყარაგიოზი; 14. სამბო; 16. ეგერი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. მილი; 24. პირსი; 25. კამიუ; 26. ვიში.

**თარაზულად:** 7. ვილსდორფი; 8. ლაფონტენი; 12. დუვრი; 13. ბანქო; 15. უფიცა; 17. მორჩილაძე; 19. უნაბი; 21. ბანკი; 22. გზირი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

# მიხაი ზიჩის ნამუშევრები თბილისშია

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული ილუსტრატორის, მსოფლიოში აღიარებული უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ნამუშევრები თბილისშია. ისინი ხელოვნების სასახლეშია გამოფენილი.

პირველად საქართველოში ამ გამოფენისათვის ბუდაპეშტიდან, უნგრეთის ეროვნული გალერეიდან, მხატვრის მიერ შექმნილი 6 ორიგინალი და 27 მაღალი ხარისხის ასლი გამოიფინა.

10 დღის განმავლობაში ხელოვნების სასახლეში ქართველ დამთვალიერებელს უნიკალური შესაძლებლობა ექნება, ნახოს და შეაფასოს საიმპერატორო კარის მხატვრის მიერ შექმნილი გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები.




გამოფენა თბილისში უნგრული კულტურის დღეებისა და საქართველო-უნგრეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად იმართება და იგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, უნგრეთის საელჩოსა და ბუდაპეშტის ეროვნული გალერეის მხარდაჭერით ხორციელდება.

შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი ილუსტრირებული გამოცემა სწორედ მიხაი ზიჩის უკავშირდება. 1881 წელს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თხოვნით იგი საქართველოში ჩამოვიდა, ნაწარმოების თემაზე შვიდის ნაცვლად 34 ილუსტრაცია შექმნა და ქართველ ხალხს უსასყიდლოდ უსახსოვრა.

მხატვარი 1827 წელს უნგრეთში დაიბადა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვენის სამხატვრო აკადემიაში ისწავლა. 1847 წლიდან მისი კარიერული აღმასვლა იწყება. ზიჩი რუსეთში საიმპერატორო კარის მხატვრად მიიწვიეს, სადაც რუსეთის ოთხი უკანასკნელი იმპერატორის მხატვარი გახადა და „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის“ მხატვრის წოდება მიიღო.

გამოფენა ხელოვნების სასახლეში 15 დეკემბრამდე გაგრძელდება, ორიგინალები კი ბუდაპეშტში 6 დეკემბერს დაბრუნდება.

# „ნიჭიერმა“ ახალი ორი ფინალისტი დაასახელა

სახალხო პროექტმა „ნიჭიერმა“ მეორე ნახევარფინალური შოუ წარმოადგინა და რვა მონაწილიდან ორი ფინალისტი დაასახელა.

მეორე ნახევარფინალში საკუთარი ნომრები წარმოადგინეს ძალოსნებმა აზერბაიჯანიდან „აზერი ბრადერსმა“, იეზიდური ნაციონალური ცეკვების ჯგუფმა „ეზდიხანმა“, მომღერალთა ჯგუფმა რაჭიდან „რაეომ“, სმენადაქვეითებულებმა ლილიამ და მაიამ, აღმოსავლური ცეკვების შემსრულებელმა ირინა შევჩენკომ, იტალიელმა მოცეკვავე ლუკა კალომ, მოცეკვავე სოფო ფარულავამ და თბილისის ბიჭუნათა კაპელამ და ახალგაზრდულმა გუნდმა გელა ფარჩუკიძის ხელმძღვანელობით.

სწორედ მათ გახსნეს მეორე ნახევარფინალი და ფრედი მერკურისა და ჯგუფ „ქვინის“ ჰიტი „ბოჰემური რაფსოდია“ უნაკლოდაც შეასრულეს.

რვავე კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ მაყურებელს კიდევ რამდენიმე წუთი ჰქონდა, რომ რჩეულისთვის ხმა მიეცა. ხმის შეწყვეტის შემდეგ წამყვანებმა გააჟღერეს ინფორმაცია, რომ მეორე ნახევარფინალში შევიდა 21.911 ზარი. მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალში გადავიდა თბილისის ბიჭუნათა კაპელა და ახალგაზრდული გუნდი. ჟიურიმ კი თავის რჩეულად სოფო ფარულავა დაასახელა. დანარჩენ 6 ნახევარფინალისტს ისევ აქვს შანსი, მოხვდეს „ნიჭიერის“ ფინალში. ამისთვის შოუს ოფიციალურ გვერდზე მათი ფოტოებია განთავსებული და რომელი მონაწილის ფოტოსაც ყველაზე მეტი გაზიარება ექნება, ისინი ფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

# თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის განახლებული სახლ-მუზეუმი გაიხსნა




რომანტიკოსი მწერლის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში პოეტის განახლებული სახლ-მუზეუმი გაიხსნა.

სახლ-მუზეუმში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და საგამოფენო სივრცეების რეექსპოზიცია. საგამოფენო სივრცეში საქართველოში პირველადაა გამოყენებული თანამედროვე მუზეუგრაფიის შესაბამისი კრეატიული ინდუსტრია და 3-დე ანიმაცია.

იუნესკომ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი 2017 წლის საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენების ნუსხაში შეიტანა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა საქართველოში მიმდინარე წლის დასაწყისიდან დაიწყო, 7 დეკემბერს კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო საღამო გაიმართება, რომელსაც თეატრალური და ლიტერატურული წარმოდგენის სახე ექნება.

# რუსთავის თეატრის წინ სამი მსახიობის ვარსკვლავი გაიხსნა

გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის დრამატულმა თეატრმა დაარსებიდან 50 წლის იუბილე გამორჩეულად იზეიმა.

თეატრი იუბილეს პრემიერით შეხვდა. ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა სოსო ნემსაძემ შენობის რეაბილიტაციაც მოასწრო, რეპერტუარში ახალი სპექტაკლის ჩაშვებაც და ღვაწლმოსილი მსახიობებისთვის ვარსკვლავების გახსნაც.



ნათელა მუხულუშვილის, ირაკლი ბექაიასა და ჯემალ მაზიაშვილის ვარსკვლავები რუსთავის თეატრის წინ 50 წლის იუბილეს ფარგლებში საზეიმოდ გაიხსნა. ამავე დღეს დამსწრე საზოგადოებისთვის ჯემალ მაზიაშვილის წიგნის პრეზენტაციაც გაიმართა. ცერემონიას კულტურის მინისტრი, ქალაქისა და მხარის პირველი პირები ესწრებოდნენ.

ვარსკვლავების გახსნამდე თეატრის ახლადრეაბილიტირებულ ცისფერ დარბაზში საპრემიერო ჩვენება გაიმართა. მსახიობებმა სპექტაკლი „კვარტეტი“ ითამაშეს, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოსო ნემსაძემ დადგა. წარმოდგენაში ძველი თაობის მსახიობები მონაწილეობდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მერი არტემის ასულ გეგეჭკორის ნათელ ხსოვნას



მარადისობას შეუერთდა დიდი კოლხი დედა-ქალბატონის – მერი გეგეჭკორის სახელი. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულმა ამ დიდმა ადამიანმა საკუთარი ხელწერა დატოვა გალის რაიონისა და აფხაზეთის სინამდვილეში.

ღვთისაგან მომადლებული ორგანიზატორული ნიჭისა და აკადემიზმის წყალობით ის გალის რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო წლების მანძილზე.

განსაკუთრებული ღვაწლი მაინც განათლების დარგს დაატყო – გალის რაიონის განათლების განყოფილების მეთაურისა და აფხაზეთის განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტებზე.

გათავისებული ჰქონდა დიდ მოძღვართაგან ნაბოძები გაუხუნარი ჭეშმარიტება – აღეზარდა მომავალი თაობა პირადი მაგალითის ძალით. ცხოვრების მისეული ხელწერა და წესი მას ამის მორალურ უფლებას აძლევდა...

ამ ღვთისნიერ ქალბატონს ადამიანებთან ურთიერთობა ხელოვნების დონეზე ჰქონდა აყვანილი...

მოუშუშებელ ტკივილად აფხაზეთის აწეწილი მდგომარეობა გაჰყვა. დიდი ამაგი დასდო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ღირსეულად აღდგენას.

ეს პატარა წერილი მოკრძალებული მადლობაა მისი ხსოვნის წინაშე, პატივგებაა მისი დიდი ღვაწლისათვის. რაიონის დიდ შვილთა დარად, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

სულისა და სხეულის მარადიულ სასუფევლად გალის რაიონის კურთხეული მიწა არჩია – რაიონისა, რომელსაც შეგნებული სიცოცხლე შეგნებულადვე უძღვნა...

განისვენოს მისმა ნათელმა სულმა მართალთა შორის, ამინ!

„საუკუნოდ იყავნ ხსენება იმისი, ხსენება და კურთხევა იმისი“...

**ბაკურ გულუა, ნაპო მესხია, ლილი ვეკუა, დალი ხორავა, ნელი ყოლბაია, ვახტანგ ყოლბაია, რუდიკ ცატავა, თამაზ ხუბუა, გიგლა ძანძავა, ჯუსტან ჯობავა, პავლე ქვაჩახია, ჯემალ გაბელია, რაჟდენ ქარდავა, რაფიელ გელანტია, ნოდარ ზარანდია, ანზორ ბუკია, ზურაბ ბუკია, ბესიკ ქარდავა, ომარ გოგოხია**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. წიგნის მაღაზიების ქსელის მფლობელი, საგამომცემლო ფირმა საქართველოში; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 5. თეთრეულისა და ტანსაცმლის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 14. აფრიკული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი.

**თარაზულად**: 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 15. რუსეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ძმარმჟავას მარილი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი.



*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

# პროგრამა

**ოთხშაბათი 6 დეკემბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.40 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "სპორტის დაფა" 12.40 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.15 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" 15.30, 05.40 დოკ/ფ "ძველი რომის საგანძური" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30, 06.40 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00, 04.40 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.10 უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა 23.40 **ფეხბურთი**. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მატჩი 01.35 უეფა-ს ჩემპიონთა მატჩის შემდგომი გადაცემა (პ/ტრ) 02.10 მხ/ფ "**ღამის სიცივე**"

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, ქრონიკა 10.10 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 14.40 სერ. "**ელიფი**" 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 პრაიმშოუ 23.30 სერ. "**დიდი შესვენება**" 8 სერ. 00.10 მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 3**" 02.10 მხ/ფ "**ვერსალის ბაღები**" 04.15 მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 2**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 19.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**მორჩილების სავანე**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 კომედი შოუ 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება -NEWS 13.40, 23.00 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პოლიტმერტი 23.30 ღალატი

**GDS** 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" 10.00, 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" 11.00 მხ/ფ "**ქერათმიანი ადვოკატი 2**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 2**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" 22.00 მხ/ფ "**ჯადოქრის მოსწავლე**" 00.10 მხ/ფ "**აკრძალული ილეთი**" 02.10 მხ/ფ "**ბეოვულფი**" 04.10 მხ/ფ "**პოსეიდონი**" 06.00 მხ/ფ "**საზღვაო ცხოვრება**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინეტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 მხ/ფ ""**ყინულის კაცი**" 3.40 ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 ქრისტიანული ხელოვნება "ღვთისმშობლის იკონოგრაფია" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-კუები" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 საუბრები სტუდიაში 12.05 ღია აუდიტორია "ვახტანგ ლიჩელი" 12.50 გაცოცხლებული წარსული "საგალობელი" 13.30 ან/ფ "ბოლტო" 14.40 სალბუნი "სისხლის განხილვა" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მცენარეები" 15.50 კონცერტი 17.05 ერთსულოვანი ოჯახი "მამა ალექსანდრე ბოლქვაძე" 17.35 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "იერემია" I ნაწ. 18.10 დ/ფ "მე-20 საუკუნის წმინდანები-გრიგოლ ფერაძე" 18.30 პატერიკი-"როგორ გახდა უმოწყალო კაცი მოწყალე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.15 მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**" 20.25 კვირიაკის სიუჟეტი "გრიგოლ ფერაძე" 20.40 ძილი ნებისა "კოიოტი", "აბა დამაცადე" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 ჩვენი ფონდი "ელენე კავლელაშვილი-ხახულის ღვთისმშობლის ხატი" 21.35 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "**ნისლა**" 23.45 სიბრძნისმეტყველება 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 კონცერტი

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**6 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7055

ევრო — 3.2057

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6327

100 რუსული რუბლი — 4.5899

## ამინდის პროგნოზი 6 დეკემბრისთვის




## 30 ნოემბრიდან




ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი საააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რაშია ცხოვრების ჭეშმარიტება?

– იმაში, რომ ყველა იტყუება.

– მაშინ ცხოვრების აზრი რაში მდგომარეობს?

– იმაში, რომ ამ ყველაფრიდან ჭეშმარიტება გამოიტანო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ღამით, ლოგინში გოგონა შემომიწვა და მეკითხება, მარტო ძილის არ გეშინიაო?

– მერე შენ რა უპასუხე?

– ვუთხარი, რა თქმა უნდა, მეშინიაო...

– მერე?

– რომ გათენდა, მართლა შემეშინდა.

●●●

მარო მიხოს ეუბნება:

– მიხო, ამდენი დაორსულება აღარ შემიძლია, სპირალი უნდა ჩავიდგა.

– მე არაფერი დამეწვას, თორემ დედას....

●●●

მიხო სკამზე ზის და შეშას ისე ჩეხავს. ამ დროს შაქრო გამოივლის, დაინახავს და დამცინავი ღიმილით გასძახებს:

– მიხო, ბარემ წამოწოლილიყავი და ისე დაგეჩეხა ეგ შეშა.

– ვცადე, ჯო, მაგრამ არაფერი გამავიდა.

●●●

მეზობელი მიტუა მიხოს ეკითხება:

– ჯო, მიხო, შენთანა ხომ მშვიდობაა? წუხელის გეძახე და არ გამაგონე.

– „სუხარს“ ვჭამდი და როგორ გაგაგონებდი.

●●●

ჭიჭიკია ბიჭიკიას ეუბნება:

– გაიგე, შალიკია მომკვდარა?

– როდის?

– დილით, 4 საათზე.

– მაგისთვის გაიღვიძა ასე ადრე?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი

მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


